

დაავარ

მამიებლის პური

მელოგინე დევებზე ფიქრმა მთელი ღამე თვალი არ მომახუჭინა. ბაბუა ილიას ზღაპრებიდან თითქოს ერთბაშად გადმოაღაჯეს და ჩემს სოფელში დაიდეს ბინა ბანჯგვლიანმა არსებებმა. ლეგენდები, მითები და რეალური ამბები ხვიარა ბალახებივით გადაეხვივნენ ერთმანეთს. კაცთა მოდგმის ელთაგანისა და ნახევრად დევების მოდგმის ბელთაგანის შესახებ ზღაპარმა ხორცი შეისხა.

სოფელში დატრიალებულმა ამბებმა იმაშიც კი დამაეჭვა, მე თვითონ ხომ არ შევაბიჯე ზღაპარში, რომელიც იმთავითვე ტრაგიკულად იწყებოდა და არც დასასრული უჩანდა კეთილი. იქ, იმ არარეალურ სამყაროში, ჩვეულებრივი ამბავი იყო ძმებს სხვადასხვა მამა ჰყოლოდათ, ელთაგანს - კაცი, ბელთაგანს - დევი და მაინც სოფლისთვის ორივე მისაღები ყოფილიყო. იქ ორივე პერსონაჟს არსებობის თანაბარი უფლება ჰქონდა, მაგრამ ის არის ზღაპარი, სადაც „იყო“ ... და მერე - „არა იყო რა“. სოფელი კი თვალწინ მოცემული რეალობაა, თუ, რა თქმა უნდა, „თვალის არ გვატყუებს“. აქ, „ამა სოფელში“, როგორც ბაბუა გვეუბნებოდა, ყველაფერს თავისი ჩრდილი აქვს. მოჩვენებები და ზღაპრები კი მხოლოდ წარმოსახვებიდან უსაგნოდ, უჩრდილოდ გადმოზრძანებული მირაჟებია, რომელთაც ხშირად ნამდვილ ამბებში ვურევთო.

ბაბუა ილია ისე ყვებოდა ამბებს, რომ ვერ ვხვდებოდით, სად მართლა „იყო“ და სად „არა იყო რა“, სად იწყებოდა რეალობა და სად მთავრდებოდა ზღაპარი, ან პირიქით. ის არაფერს ამტკიცებდა, უბრალოდ ამბობდა, რომ ჩვენი თვალის მიღმა უფრო რთულად არის საქმე, იქ მეტად ჩახლართული და საშინელი ამბები ხდება, ვიდრე თვალსაჩინოდო, გარედან ყველაზე ბოროტ საქმეებსაც კი უმშვენიერეს საბურველში ახვევენ და ღამაზად კაზმავენო, სიკეთე კი შიშველია და დედიშობილა დადისო.

დევები ჩვენს სოფელშიც მრავლად არიან, ოღონდ ისინი ჩვენ თვითონ გადმოვსვით ზღაპრებიდან და ჩავისახლეთ ყველგან: გულში, მეზობლებში, მეგობრებში, ნათესავებში, შინ და გარეთ. ძალიან გულმოდგინედ უნდა ეძებოთ, რომ მათ შორის იპოვოთ ნამდვილი ადამიანებიო. ეს არ არის ადვილი საქმე, თანაც ჩვენს დროში ვისაც დევებს უწოდებენ, ისინი ბევრად „მართალნი“ არიან, ვიდრე მათი დამძახებლებიო, ზღაპარი კი ჩვენივე დაგროვილი სიზმრებია, სადაც სხვადასხვა საბურველით შემოსილი ჩვენივე თავი გვესიზმრებაო - აგრძელებდა ბაბუა.

გაოგნებულ ბავშვებს ენა მუცელში გვივარდებოდა. ჩვენს ჩვილ გონებაში ყველაფერი თავდაყირა დგებოდა. აქამდე თუ ადამის მოდგმის შვილებად მიგვაჩნდა თავი, ახლა ჩვენს ადამიანობაშიც ეჭვი გვეპარებოდა.

-ბაბუ, ჩვენ ვინ ვართ?- ეკითხება ერთი გაბედული ბავშვი.

-არ ვიცი, ეს ძნელი გასარკვევია, დიდი დროა საჭირო, თითქმის მთელი ცხოვრება, შეიძლება ისე წახვიდე ამ ქვეყნიდან, რომ ვერ გაიგო ვინ ხარ! - გვაშინებდა ბაბუა სერიოზულად.

მეხის დაცემას ჰგავდა მისი პასუხი, მაგრამ რატომღაც ბაბუა გვიმეტებდა ამისთვის.

- ბაბუ, შენ ხარ ადამიანი?

-არც ეს ვიცი, სულ იმის ცდაში ვარ ვიპოვო ადამიანი ჩემში, მაგრამ დღემდე ვერ მომიხერხებია...

-ბაბუა, შენც თუ არ ხარ ადამიანი, მაშინ სოფელი მართლა დევებით ყოფილა სავსე, - ვეუბნებოდით საყვარელ ბაბუას შვილიშვილები.

-ეძებეთ, ბაბუა გენაცვალოთ, ეძებეთ ადამიანი თქვენშიც, სხვებშიც და აუცილებლად იპოვით.

-როგორ უნდა გაარჩიო, გარეგნობით, ქცევით, ლაპარაკით თუ?..

-ვერცერთით, იმიტომ რომ ამ ყველაფერში თითქმის ერთიმეორეს ვგავართ. ყველა მალავს თავის ნამდვილ სახეს, როგორც ტანსაცმლით ვიპრანჭებით, ისევე ქცევით. დევები კი ჩვენს შიგნით არიან მოკალათებული. ჩვენ ზღაპრის იმ დიდ, ჯადოსნურ სკივრს ვგავართ, ერთიმეორეში უამრავ მომცროს რომ ითავსებს, ნამდვილი განძი კი ყველაზე ბოლო, ფეტვის მარცვლისოდენა ყუთშიაო.

-აააა...- წარმოთქვამენ ბავშვები მრავალმნიშვნელოვნად, თითოეული ცდილობს საკუთარ თავში ჩაღრმავებას, თუმცა საკითხი მაინც ბუნდოვანი რჩება და ისევ ზღაპრის გაგრძელებას ითხოვენ, ბაბუაც აგრძელებს თხრობას:

„წინათ, ზღაპრის ქვეყანაში, დევებს რაღაც ჭექა-ქუხილისა და მიწისძვრის მსგავსი გუგუნი გაჰქონდათ, თითქოს მათ ფეხქვეშ მიწა გმინავდა სიმძიმისაგან, ცა გრგვინავდა მყრალი პირიდან ამონაბოლქვი ორთქლის ურთიერთშეჯახებისაგან ... სულ გურგულ-გვარგვალ ხმები გაჰქონდათო. მაშინ ისინი ბევრად უფრო დიდები და უფუნურები ყოფილან, ვიდრე ახლა. გონების დაუტანებლად მოქმედებდნენ, მათ ხმაურიან მოახლოებას შორიდანვე გრძნობდნენ ადამიანები და წინასწარ მომზადებული ხვდებოდნენ. რა თქმა უნდა, მათ არასოდეს უპირისპირდებოდნენ ძალით, არ იყო საჭირო, არც შესაძლებელი, მათ დასამარცხებლად გონების მცირეოდენი განძრევაც საკმარისი ყოფილა, ძალიან ადვილად ტყუვდებოდნენ, ერთ სარმას გამოსდებდნენ და წაქცეულები საკუთარივე სიმძიმით იჭექებოდნენ.. შემდეგ ნელ-ნელა გაიწვრთნენ, გაგვერივნენ, გარეგნულადაც დაგვემგავსნენ, ბევრს კი გონებრივადაც გაგვასწრეს, - ზღაპრის ამბებიდან ისევ რეალობის პირველ პირში გადმოდის ბაბუა.

-ჩემი გუმანით ვხვდები მწვრთნელის ვინაობას, მაგრამ მისი ხსენებაც არ მინდა თქვენთან, ერთს კი გირჩევთ, რომ ფრთხილად იყოთ, რადგან ამ ბოროტ მასწავლებელს ძალიან უყვარს უვიცებისა და გულუბრყვილოების ცდუნება, მოტყუება და შემდეგ მისებურად გაწვრთნა - გვაფრთხილებდა შვილიშვილებს ბაბუა.

ამოდ ვევედრებოდით მის სახელს, მაგრამ ყოველთვის გვიტოვებდა საფიქრალს, სამიებელს, ამიტომ მტკიცედ დასძენდა:

- უხსენებელსაც კი ვახსენებ, ოღონდ იმ ღვთისპირიდან გავარდნილის სახელს ჩემი ზღაპრიდანაც ვერ გაიგებთო. იმ მწვრთნელმა უამრავი ფანდი ასწავლა დევებს. ის კი არა და, თავის თავს დევებისა და უგუნურების მხედარსაც უწოდებს, რადგან ბრიყვებს ცხენებივით დააჭენებს, ოღონდ წარმოგიდგენიათ, ზურგზე კი არ აჯდება, გულში კალათდება რბილად, თბილად და ჰაიდა, საითაც მოესურვება იქით დააქროლებს.

- მივხვდი, ბაბუა, მივხვდი,- ყვირის ერთ-ერთი ბავშვი - დიდი სკივრი ჩვენ ვართ, იმის შიგნით დევია, დევის შიგნით ის ბოროტი მხედარი, იმის შიგნით კიდევ ბევრი მომცრო და მომცრო სკივრია, სადაც სხვადასხვა ცხოველი ზის, ბოლოში კი...- ჭოჭმანით ჩერდება მოაზროვნე.

ყველა იმ ერთს შევცქერით, ბაბუაც აგულიანებს, რომ თქვას განძის სახელი.

-ადამიანი-წაიჩურჩულა მოაზროვნემ.

-ადამიანი!.. ადამიანი!.. ადამიანი!..- ეთანხმება ყველა ბავშვი ერთად.

-საყვარელი, დაპატარავებული, პაწაწუნა, ხორბლის მარცვლისოდენა კაცუნა,- იცინიან პატარები და ხელისგულეებზე იყურებიან, თითქოს ზედ მართლა პატარა კაცუნები უსხედანო.

- ჩემო პატარა ბრძენო, შენ ნაწილობრივ ამოხსენი საკითხი, მაგრამ ეს არ არის ბოლო ყუთი... დიახ, ჩვენშია დევიც, გველიც, მაიმუნიც, ღორიც,კურდღელიც, ცხვარიც, თევზიც და ამიტომ ადამიანისთვის, მართლაც, ხორბლის მარცვლისოდენა ადგილიც არ დავტოვეთ. გარდა ამისა, რაოდენ პატარაც არ უნდა იყოს ის ყუთი, მასში მაინც დევს კიდევ ერთი, ბოლო, მაგრამ უმთავრესი, რომელსაც მიუხედავად მისი უმთავრესობისა, მაინც უმცირესი ადგილი მივუჩინეთ. აი, რა მინდა, რომ აღმოაჩინოთ!

-ბაბუ, გავაძევოთ ბოროტი მასწავლებელი, დევები, ცხოველები და ქვეწარმავლები ჩვენგან და ...

- ხოდა, კაცუნებიც გახდებიან კაცები, - წამოიყვირა რამდენიმე ბავშვმა ერთად.

-მხეცისა და ცხოველის გამეგება ჩვენი შინაგანი სკივრიდან, ეს არ არის ადვილი საქმე, თუმცა შესაძლებელია პატარა ბიჭო! ამაღამ შენც და შენი მეგობრებიც მამიებლის პურით

დანაყრდებით, თუმცა საფიქრალი და საძიებელი კიდეც ბევრი გაქვთ, რადგან თქვენი აღმოჩენილი ყუთი ერთ-ერთი მთავარია და მხოლოდ ნაწილია იმ თვალ-მარგალიტისა, რომელიც ბოლო ყუთშია. აი, ის არის უმთავრესი განძი, ის უნდა ეძებოთ დაჟინებით და რაც არ უნდა იყოს, ადრე თუ გვიან აღმოაჩენთ.

- ბაბუ, ღირს კი რამედ მისი მოძებნა, ფეტვის მარცვლისოდენა ყუთში ჩატეულ განძს რა ფასი ექნება?

- ამაშია მთელი მისი დიდებულება, ის ჩვენს გულშია მცირე, სინამდვილეში კი იმდენად უსაზღვროა, რომ ყველაფერი რასაც ჩვენი თვალი სწვდება და ვერ სწვდება, მისი თვალის უპეში ეტევა.

- მისი თვალის ერთ დახამხამებაში კი დღე და ღამე იცვლება - ისე სწრაფად წამოიძახა ერთმა ბავშვმა თითქოს ეშინოდა ვინმეს დაესწრო.

- მკვდრები მისი თვალის უპიდან გადმოცვნილები არიან, ხომ ბაბუ? - საოცარი ასოციაცია უჩნდებათ სიბრძნეში მოპაექრე ბავშვებს.

- არა, გენაცვალოთ ბაბუა, ასე უბრალოდ არავინ ცვივა მისი თვალიდან და თუ ვინმე მართლაც ვარდება, ის ხელისგულს უხვედრებს და თითოეულს თავშესაფარს უჩენს.

- ბაბუ, გვითხარი რა ჰქვია, ასეთი რა განძია?

- არა, თქვენ თვითონ უნდა მიაგნოთ... იფიქრეთ, ეძებეთ. ფიქრი იგივე მკითხველია, რომელიც საკუთარ თავში დაწერილი უსასრულო წიგნის წაკითხვას ცდილობს და ნაბიჯ-ნაბიჯ ახერხებს კიდეც. ისწავლეთ საკუთარი ფიქრების ანაზანა და მერე შეძლებთ იმ უთვალავი ფურცლის წაკითხვას, რომელიც ჩვენს მეხსიერებაში ჯერ კიდეც არ გადაშლილა. ასე, რომ ჩემო პატარებო, იფიქრეთ, ეძიეთ და ფიქრი გაპოვნინებთ აუწონელ განძს და როცა იპოვით, მპოვნელის პურითაც დანაყრდებით.

- მიხვდები ბაბუ, რომ ჩვენი თავი წიგნია, მაგრამ ვინ ჩაწერა მასში უსასრულო სიბრძნე?

- აი, იმან, ვისაც ყველაზე პატარა ადგილი მიუჩინეთ გულში.

- რატომ დავაპატარავეთ, მაღლიერების ნაცვლად რატომ ვუმტრეთ?

- იმიტომ, რომ დევებზე მეტად ბრიყვები ჩვენ ვართ, ფიქრი გვეზარება, წაუკითხავად მივაგდეთ ჩვენი თავი და მეზღაპრეებად გადავიქცით, ნამდვილი ამბები გავაზღაპრეთ, ზღაპრები კი გავინამდვილეთ. ყველაფერი დაწერილია ჩვენს გონებაში, მწერალს კი არც ვკითხულობთ ვინ არის. უნდა იჩქაროთ, სანამ ბოლომდე არ წაშლილა ჩვენი მეხსიერების ბიბლიოთეკა. გააგრძელეთ კითხვა და მიხვდებით, რომ ცოტაა წაკითხული, წასაკითხი კი უსაზღვროა. ასე, რომ ჩემო პატარებო, იფიქრეთ, იკითხეთ საკუთარი „წიგნი“ და თქვენ შეძლებთ სამყაროს წაკითხვას.

- ბაბუ, რატომ გვიმალავ მის სახელს?

- ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თქვენი ძიების შედეგად ნაპოვნს უფრო დაინახავთ, უფრო დიდი ფასი ექნება, მეტად ირწმუნებთ და სათუთად მოუფრთხილდებით, მეორეც იმიტომ, რომ მას მტერი ჰყავს, რომელიც ცდილობს თქვენც მტრებად გაქციოთ, მაგრამ „მწერლის“ ადგილი თუ გაიზრდება თქვენს გულში, მერე უკვე ვერაფერი მოგერევათ. ახლა კი უკვე ძილის დროა და ყველა მამიებლის პურით ჯილდოვდებით, იმედი მაქვს, მპოვნელის პურითაც დაჯილდოვდებით.

- ბაბუ, ბაბუ ერთ რამეს ვერ მივხვდი, გთხოვ, ნუ დამაწვევს ისე, რომ ეს კითხვა არ დაგისვა-ყელზე სამი თითის ჩაპქენით ევედრება ერთ-ერთი ბავშვი, რომელსაც თავისი მდუმარების გამო ზედმეტ სახელად „მუნჯს“ ვეძახდით. ყელზე სამი თითის დადება, ეს ისეთი ჯადოსნური მეთოდი იყო ბავშვებში, რომ თხოვნა უსათუოდ უნდა შესრულებულიყო, ამავე დროს ამ ხერხს ძალიან მოწიწებით და იშვიათად მივმართავდით.

რა თქმა უნდა ბაბუამაც უხმოდ, მისებური საოცარი ღიმილით დართო კითხვის დასმის ნება „მუნჯს“:

- ბაბუ, თუ ყველაფერი ჩვენშია, მათ შორის ადამიანიც, ჩვენ, ჩვენ თვითონ ვინ ვართ?.

ბაბუამ თავი ჩაღუნა, ჩაფიქრდა, მივხვდით, რომ რთული კითხვა დაუსვა „მუნჯმა“, რომელიც ათასში ერთს იტყოდა, მაგრამ ის ერთი ათასს უდრიდა.

- ჩვენ ვინ ვართ? ჩვენ ჩვენივე გამოგონილი ზღაპრების გმირებისა და წარმოსახვების მსგავსად უსაგნო, უჩრდილო სულები ვართ, რომლებიც დავბინავდით თქვენს ნეკათითზე პატარა სახლებში და ამით ისინი გადავაქციეთ სასწაულმოქმედ, ცოცხალ არსებებად.

ვერაფერიც ვერ გავიგეთ, ვუყურებთ ჭერს, იატაკს, ფანჯრებს, მაგრამ ვერაფერ სასწაულს მასში ვერ ვხედავთ. ჩვენი სახეების შემხედვარე ბაბუა სიცილს ვერ იკავებს და აგრძელებს:

- მე ამ სახლზე არ გეუბნებით, ჩვენ ყველას ჩვენი პირადი ბინა გვაქვს, რომელიც სასწაულებრივად იზრდება, ლამაზდება და თუ უდროოდ არ დავტოვეთ, მაშინ ის გახდება ჩემხელა და ზოგ შემთხვევაში ჩემზე დიდიც.

ისევ ვერ ვხვდებით, ზღაპარს გვიყვება თუ ნამდვილ ამბავს. ყველა სახლი ბაბუაზე დიდი როგორ არ არის? ის კი ამბობს, მხოლოდ რამდენიმე შეიძლება გაასწროსო, ეს როგორ, პელაგიას ქოხიც კი მასზე დიდია, ვჭურჭულებთ ბავშვები.

- თქვენ დიდხანს უნდა იცხოვროთ თქვენს „სახლში“, არ გააფუჭოთ ეს საოცრება, მოუფრთხილდით, უფრო და უფრო გაალამაზეთ ის და გაიხანგრძლივეთ მასში ყოფნა! აი, მე კი ძალიანაც რომ მინდოდა, მაინც იძულებული ვარ მალე დავტოვო ჩემი დროებითი „ბინა“, რომელიც ძალიან მიყვარს ახლაც კი, როცა ასე დაუძღვრდა

და გაცვდა, მაგრამ რაკი მე მასში ვარ, მაინც ცოცხალია, უჩემოდ კი მაშინვე დაიწყებს დაქცევას, დაშლას.

ბაბუას, რატომღაც სევდა შეეპარა ხმასა და თვალეზში, რაც მალევე იდუმალეზით მოცულ, ღიმილიან მზერაში გადავიდა. ბაბუა ელოდებოდა ჩვენგან კითხვას, რომელშიც მცირეოდენი ნაწილი მაინც გამოცნობილი იქნებოდა მისი ნათქვამიდან.

„მუნჯმა“ დაარღვია მცირე ხნის, მაგრამ „საშინლად გაწელილი“ სიჩუმე:

- ჩვენი სხეულია ხომ ჩვენი დროებითი სახლი ბაბუ?
- ყოჩაღ, ჩემო „მუნჯო“, შენ არასოდეს არ აღებ პირს, თუ იქიდან სიბრძნე არ გამოდის.

ყველა „მუნჯს“ ვუყურებთ და ჩუმად შევნატრით.

ერთმა ბავშვმა სცადა მასთან გაპაექრება:

-ბაბუ, ბაბუ, ეს ჩვენში არსებულ ჯადოსნურ სკივრს ჰგავს, ოღონდ თავდაყირა დაყენებულს. ჩვენ სხეულში დავბინავდით, სხეული- სახლში, სახლი - სოფელში, სოფელი - ქვეყანაში, ქვეყანა - დედამიწაზე, დედამიწა - სამყაროში, სამყარო...?

უცებ შეყოვნდა „თხა და ვენახივით“ სხაპასხუპით გალექსილი ამბის რომელიღაც გაწყვეტილ რგოლთან.

- ბაბუ, სამყარო რაშია?
- გენაცვალოთ ბაბუ, მე მოვხუცდი, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველაფრის წაკითხვა მოვასწარი ამ ჩემს ბებერ თავში, ახლა თქვენ გაავგრძელებთ კითხვას, მე კი მაინც გავკადნიერდები და აი, ასე ვუპასუხებ შენს კითხვას: ჩვენში რომ ბოლო და უმცირესი ადგილი მიუჩინეთ, სწორედ იმაშია მთელი სამყარო.
- რაა, როგორ, ისევ ზღაპარს გვიყვები ბაბუ?
- არა, მაგრამ, ახლა უკვე ძალიან გვიანია, ჩვენ თუ ასე გავავგრძელებთ საუბარს, კითხვები მაინც არ ამოიწურება, თქვენც შეიძლება თვალსა და ხელს შუა ისე მოხუცდეთ, რომ მე ვერსად მიპოვოთ დედამიწის ზურგზე, ამაღამ ყველა ჯილდოვდებით განსაკუთრებული პურით, რომლისთვისაც სახელიც კი ვერ შევარჩიე იმდენად დიდებულია.

თუ ვინმე რაღაცით გამოვიჩენდით თავს, ბაბუა ყოველთვის გვაჯილდოებდა ვირტუალური პურით, ეს შეიძლება ყოფილიყო მამიებლის პური, დამაშვრალის პური, თავგამოდებულის პური, ნამუშევრის პური, მზრუნველის პური, მეგობრობის პური, გმირობის პური, სიყვარულის პური, დაღლილის პური, გამარჯვებულის პური და ასე უსასრულოდ.

მეორე დღეს შევახსენებდით ბაბუას დაპირებულ პურს:

- აბა, კარგად გაიხსენეთ, როგორ მშვიდად და საამოდ გეძინათ წუხელ, ეს იმიტომ რომ თქვენ თვალთუხილავი პურის ღირსი გახდით, ამის მოწმე კი თქვენი ტკბილი ღამე და ახალი დღეაო.

ნახევრად ამოხსნილ საკითხს ზედმეტი კითხვების გარეშე ვტოვებდით, იმ იმედით, რომ ვიფიქრებდით, ვიაზროვნებდით და ნახევარსაც დამოუკიდებლად ამოვხსნიდით. ხორბლის მარცვლისოდენა ყუთში კიდევ თუ შეიძლებოდა სხვა ყუთის ჩატევა, წარმოდგენა არ გვქონდა.

ბაბუა კი ასე ასრულებდა ყველა ზღაპარს: ამ ამბავში ნახევარზე მეტი ტყუილია, ტყუილზე მეტი კი სიმართლეო.

ბაბუას ზღაპრების ზეგავლენით იყო თუ რატომ, არ ვიცი, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობდი, ჩემს ზურგს უკან როგორ ჩაიქროლებდა უჩინრად რაღაცა არსება, ქოშინით შემომაფრქვევდა მჟავე სუნს, რაც დიდხანს რჩებოდა ჰაერში. მეც, თითქოს იმ სიმყრალით ვიჟღინთებოდი. პირს მაგრად ვკუმავდი, ყურები და ცხვირი მუდამ ბამბით მქონდა დაგმანული, რომ ჩემს გულამდე მისასვლელი გადამეკეტა ბოროტი მხედრისთვის. მეშინოდა სიტყვას ან სუნთქვას არ ჩაჰყოლოდა გულში „დევებისა და ბრიყვების მასწავლებელი“.

მთავარი სატანჯველი კი ღამე იწყებოდა; ოთხივე კედელი იფარებოდა მრავალგვარი მხოხავით, მატლებით, ჭიებით, პატარ-პატარა რქიანი არსებებით, რომლებიც ნელ-ნელა გადმოდიოდნენ ჩემს სხეულზე. თვალს დაგზუჟავდი თუ გავახელდი, მნიშვნელობა არ ჰქონდა, მათ მაინც ვხედავდი და ვგრძნობდი. პირს ვერ ვაღებდი, რომ ვინმესთვის შველა მეთხოვა, მეშინოდა ყელში არ ჩამძრომოდნენ. ყურები და ნესტოები კი საიმედოდ მქონდა დაგმანული. ერთადერთი საშველი დედის სხეულთან შეხება იყო. მასთან კი ჩემი ადგილი არასოდეს მოიძებნებოდა. ის ან მამასთან ერთად თავის ოთახში იწვა, ან ჩემი ორი უმცროსი და ეწვინა აქეთ-იქიდან. მხოხავების გარემოცვაში ვერაფრით ვერ ვახერხებდი დამინებას. როცა უკიდევანოდ გამიჭირდებოდა მათგან მიყენებული სატანჯველის ატანა, მივდიოდი იქ, სადაც დედა მეგულუბოდა, ვდგებოდი მუხლებზე, დედის ფეხებს სათუთად ხელს ვადებდი და ყველა მხოხავი მაშინვე ქრებოდა, რასაც ჩემი მყისიერი დამინება მოჰყვებოდა. როდის გადავყავდი დედას საწოლში, ვერასოდეს ვიგებდი. სოფელი კი დამცინოდა;

-გოგო, გამოიღე ეს ბამბები, ყურები თუ გტკივა, ცხვირში მაინც რა გეცა?

-ყურებში ჩირქი მაქვს, ცხვირიდან სისხლი მდის...- მეც ვიტყუებოდი ათასი კითხვისაგან თავმოებურებული. უკვე ნაკლებად მოქმედებდა უსასრულო ქილიკი დიდი ყურების, დიდი ცხვირის, აწოწილი ტანის, „დაავარს“ მიმსგავსებული ქცევის, დაგრეხილი სიარულისა და ვინ ჩამოთვლის კიდევ რამდენი რამის გამო... დიდი ხნის გამოტირებული მყავდა სხვადასხვა „თავდასხმისგან“ ათასჯერ გარდაცვლილი ჩემი თავი. ეს ყველაფერი ყოველდღიურად მცირე დოზით საწამლავის მიღებას ჰგავდა, რასაც ისე ეჩვევა ორგანიზმი, რომ შემდეგ ერთბაშად დალეული, სამსალით სავსე სასმისიც ვერ გკლავს. პატარა ვიყავი და

მეგონა, მხოლოდ ჩემს დანაშაულზე ვაგებდი პასუხს, ბევრს ვფიქრობდი, თუ ვინ იყო პასუხისმგებელი იმაზე, რაშიც ბრალი არ მიმიძლოდა. რაც მთავარია, მე თვითონ არასოდეს ვიყავი უკმაყოფილო იმით, რაც გამაჩნდა და ამ მდგომარეობაში ვეძებდი სიხარულს. მხედველობის ორგანოები ყოველთვის გაფაციცებული მქონდა. ვეძებდი, სულ ვეძებდი ხან ადამიანს, ხან დევს... მუდმივად კი სხვა იდუმალ რაღაცას, რისი ძიების სურვილიც ბაბუამ ისე ძალუმად დაანთო ჩემს გულში, რომ ცეცხლი უფრო და უფრო მეკიდებოდა. დევების სუნს ყველგან ვცნობდი, მაგრამ ვერ ვხედავდი, რადგან მუდამ თვალს მიღმა იყვნენ ჩასაფრებული. აი, მათი მასწავლებლის კი, გულში დამიზნებული შხამიანი ისარივით მეშინოდა.

ბევრი ფიქრისა და ძიების შემდეგ იმდენად ვიღლებოდი წუთისოფლის ბუნდოვანებისაგან, რომ ფარ-ხმალს ვყრიდი, თავს ვანებებდი იმის გარკვევას, რაც ჩემი გონების შესაძლებლობებს აღემატებოდა. მივყვებოდი ჩემი ამქვეყნად მოვლინების ხაზს, ვეყრდნობოდი ბაბუის ბაბუამდე სახელებს, შემდეგ წარმოდგენებს და ადამამდე ვაღწევდი, აი, იმის შემდეგ კი ნამდვილი უფსკრული იწყებოდა, რომლის ბუნდოვანება ყოველთვის სევდას მგვრიდა. ადამის იქით გახედვა მწყუროდა. მჯეროდა წარსულს ვიპოვიდი მომავალში. ვხვდებოდი, რომ უმჯობესი იყო დროის ფეხდაფეხ მიყოლა, მაგრამ ბაბუას შეგონებაც არ მასვენებდა - იჩქარეთ, იფიქრეთ, იაზროვნეთ, ეძებეთ, გაარჩიეთ, ჩასწვდით, მთავარი ჯერ არ გიპოვიათ, შორიდან ვერაფერს მიხვდებით, მანძილი ბევრ რამეს ცვლის, ახლოს მიდით, რომ სწორად დაინახოთ, ნუ შეგეშინდებათ!

გუშინ ქალების საფიხვნოსთან მორიგი ჩუმი მოსმენის შემდეგ, მთელი ღამე დევების გამჭოლი მზერა სერავდა ჩემს სხეულს და მათი ფშვინვა არ მასვენებდა. ქალები ისე შინაურულად ჭორობდნენ ამ არსებებზე, როგორც მეზობელი დედაკაცების გუშინდელ ჩხუბზე. ზოგი ბოროტად ქილიკობდა, სოფელს ახალი „მომხვედური“ დევები მოადგნენ, ჯერ შვილებს შემოგვიყრიან, მერე თვითონაც ჩაგვისახლდებიან, ნელ-ნელა დაიკავებენ ჩვენს სახლ-კარს და მერე ისე გაგვაძევებენ ჩვენივე ფუმიდან, რომ გონს მოსვლასაც ვერ მოვასწრებთო. მერე უმტკიცე „დაავარს“, რომ ჩვენი „ქორ“ და „წილი“ უკავიათო. შენ დევები უწოდე და სინამდვილეში ჩვენზე უფრო ჭკვიანები არიან და ბოლოს „ქორწილსაც“ ისინი გადაიხდიანო,- დაასკვნიდნენ ქალები.

სოფლის თითოეულ მკვიდრს ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი შიში ავი სულელებისა, რომლებიც ხშირად რაღაც ნიშნით გამოარჩევდნენ ადამიანებს, სასურველი გარეგნობით იმოსებოდნენ და მოულოდნელად ეცხადებოდნენ დამარტოხელებულებს. ეს ამბები ტაბუდადებული იყო. ყველამ იცოდა, პირადად ვის შეხვდა ასეთი არსება, მაგრამ დუმდნენ, რადგან თუ გათქვამდნენ, ამის გამო განსაკუთრებული სისასტიკით დაისჯებოდნენ რაღაცისა თუ ვიღაცის მიერ. ბევრს მთელი სამოსახლოც კი დაუტოვებია, ასეთი სტუმრებითა და შეხვედრებით შეწუხებულს.

მე მომსწრე გავხდი რამდენიმე შემთხვევისა, როცა სოფელში შემოასვენეს გონმიხდილი კაცები, რომელთაც სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდათ... მერე, როგორი შემადრწუნებელია ქალივით გულწასული, ზორბა კაცის დანახვა. რა უნდა იყოს ამქვეყნად ისეთი საზარელი სანახავი, რამაც შეიძლება ადამიანს გონება წაართვას. ერთიმეორეზე გამორჩეული ვაჟკაცები უნახავს სოფელს შეშინებული და ცნობამიხდილი.

მოგვიანებით გონსმოსულები არ ამხელდნენ რა შეემთხვათ. ეშინოდათ მომავალი რისხვის, სხვებს კი სჯეროდათ, რომ მომდევნო ის იქნებოდა, ვინც ჩაემიებოდა, ამიტომ მათ ამის შესახებ არც არავინ ეკითხებოდა რამეს. ყველა დუმილს არჩევდა. ერთი კი იყო, რომ იმ ადგილას, სადაც გონმიხდილებს პოულობდნენ, მეორე დღეს მიჰქონდათ საგანგებოდ გამომცხვარი სეფისკვერები, ზედაშე და ლამაზი მანდილი... რაკილა მანდილიც მიჰქონდათ, ჩემებურად ვასკვნიდი, რომ დამხვდური მდებრობითი სქესისა გახლდათ და ნადირობდა მამრებზე. მიკვირდა ბოროტი სულიც „საღვთო ძღვენს“- ლემზირებსა და ზედაშეს რომ ითხოვდა. ამდენი მანდილი რაში სჭირდებოდა, ვერ ვხვდებოდი, ასე მეგონა, მიზანდასახულად ცდილობდა ქალების უმანდილოდ დატოვებას. სოფლის რჩეული ვაჟკაცებიც კი ძრწოდნენ ამ ღამეული, ეჭვიანი და შარიანი „ლამაზმანის“ შიშით.

ჩემ გასაოცრად, ერთხელ, ტყეში გამავალ გზაზე დაგდებული, გონმიხდილი ქალიც უმანდილოდ მოასვენეს სოფელში. ქალების შეცხადების მთავარი მიზეზიც ეს გახდა:

- უი, უი, მანდილი წაუგლეჯია, უმანდილოდ დაუტოვებია.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ქალი მკვდარი ეგდო და ისინი კი მანდილს ჩიოდნენ. მას არავითარი ძალადობის კვალი არ აჩნდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, გონება რაღაც უჩვეულოს ხილვის გამო წართმეოდა.

გონს როცა მოიყვანეს, ტუჩებზე თითის დადებით ანიშნა ყველას, რომ ზედმეტი კითხვები არ დაესვათ.

კაცები მსგავს მდგომარეობაში კაი გვარიანად ნაცემი იყვნენ. ასეთი ბედი ეწია ამ ქალის ქმარსაც, რითიც ბეჭედი დაესვა, რომ ეს წყვილი ტყის ბინადარმა ეჭვიანობის ნიადაგზე დასაჯა.

მე მაინც არ მასვენებდა ეჭვი, იმ „ბოროტი მასწავლებლის“ შესახებ, რომელიც თითქოს მთელი სოფლის გულში იჯდა და როგორც უნდოდა, ისე დააჭენებდა ზემოთ-ქვემოთ. ასე იყო თუ ისე, ერთი რამ ცხადი გახლდათ, რომ არსებობდა რაღაც უხილავი, ან ვიღაც, რომელიც დაუსრულებლად თესავდა შიშსა და თავზარს. ზოგს თანასოფლელებზეც ჰქონდათ ეჭვი, რაც ხშირად ფარული მტრობის მიზეზიც ხდებოდა.

კარგი, ბატონო, დევების არსებობა ამ სოფელში თითქმის ყველას სჯეროდა, ტყიდან უგონოდაც ბევრი მოასვენეს, მაგრამ მე მაინც განუწყვეტლად მღრღნიდა ეჭვი და მქონდა სურვილი, ჩემი თვალთ დამენახა სინამდვილე; ვნატრობდი, მეც შემხვედროდა მსგავსი

ბინადარი ტყისა, ოღონდ არა ქურდულად უკან ადევნებული, არამედ პირისპირ, ისე რომ ჩემი ლანდი მის თვალებში დამენახა. იმ კაცების მშურდა, ვისაც ტყის „ლამაზმანებთან“ ჰქონდათ „სასიყვარულო ურთიერთობები“, უსამართლობად მიმაჩნდა, რომ ჩვენს ტყეში მითიური „რაინდები“ არ არსებობდნენ, თუმცა, იმედი მქონდა, სადაც მდებარი, იქ უთუოდ მამრიც იქნებოდა. მიხაროდა, ჩვენი საქონელი დროულად შინ რომ არ ბრუნდებოდა. უშიშრად გავრბოდი უკუნ ღამეში ტყეებსა და ღრეებში მათ მოსაძებნად. მთელი სოფლის, ტყეში დარჩენილ, მსხვილ და წვრილფეხობას მოვრეკავდი შინ, მაგრამ პირისპირ მაინც არავინ შემყრია, უკან კი მუდმივად დამდეგდა ვიღაც. ერთი - ორჯერ მამაკაცურად ჩაცმულმა სულ სტვენა - სტვენიტა და ბოხი ხმით მოვუხმე კუნაპეტ ღამეში საქონელს, მაგრამ მაინც არ მოტყუვდა ტყის „ლამაზმანი“. მეც თავი მივანებე მამაკაცობის თამაშს, რომ იმ ქათამივით არ დამმართოდა, მამლურად ყვილის გამო, ბებომ რომ თავი წააცალა. ჩემი ფართოდ გახელილი, შეძრწუნებული თვალების უხმო შეკითხვას ბებომ ისე უპასუხა, თითქოს მთელი სოფელი რაღაც დიდ უბედურებას გადაარჩინა.

-დიდი უკუღმართობისა და განუკითხაობის ნიშანია შვილო, ქათმის მამლური ქცევა და ყვილი, ამიტომ დასაწყისშივე უნდა წააწყვიტო თავი, ვიდრე დანარჩენი ქათმებიც მას მიბამავენო.

ზურგს უკან კი ჯიუტად დამყვებოდა აჩრდილი, დამდეგდა უჩინრად. მოულოდნელად შემოვტრიალდებოდი, მინდოდა ჩემი იდუმალი მეგზურისთვის თვალი მომეკრა, მაგრამ ისეთი სწრაფი იყო, ისევ ზურგს უკან ასწრებდა გადასვლას. ლამის გულისრევამდე ვტრიალებდი წრეზე, ვნატრობდი კეფაზეც თვალი მქონოდა.

-რას აკეთებ გოგო, როგორ უძლებ ამდენ ტრიალს, გული მაინც არ გერევა?-მეკითხებოდნენ შემთხვევითი მხილველები.

- მერევა და თავიც მტკივა, მაგრამ მინდა დავინახო, ვინ დამდეგს ზურგს უკან, ხომ არ მოგიკრავთ თვალი?

- ეეე, შვილო, რაღაცა გჭირს შენ, სადმე „დაავარს“ ხომ არ შეხვდი და დაგაბერტყეს თავზე მათი სული!

ვხვდებოდი ჩემი მუდმივი მდევრის უსაზღვრო მუხანათობას, ქვეგამხედვარობას. ჩემს თავს ვაჩვევდი, რომ როგორი საშინელიც არ უნდა ყოფილიყო, მისი არ შემშინებოდა. მჯეროდა, რომ გონებაში გაცოცხლებულ, მოშინაურებულ, თანამცხოვრებ წარმოსახვებზე უარესი ის ვერ იქნებოდა.

მასთან შეხვედრის დღეც რომ დადგებოდა დარწმუნებული ვიყავი. ვჩქარობდი... მალე მინდოდა ამ სანატრელი წუთების დადგომა, რადგანაც გაურკვევლობა უფრო მტანჯავდა, ვიდრე საშინელი რეალობა. ჩემს თანატოლებთან როცა განვაცხადე სურვილი, იდუმალ

არსებებთან პირისპირ შეხვედრისა, შიშისგან აკანკალდნენ. გამაფრთხილეს, მეორეჯერ არ მეთქვა ასეთი საშინელება, თორემ ნამდვილად ამისრულდებოდა. მეც ეს მინდოდა.

გუშინდელმა ამბავმა მათი არსებობის შესახებ ჩემი ეჭვები გაფანტა. როგორც ამბობდნენ, დევებს თავიანთი ნაშიერი უკვე შემოეგდოთ სოფელში. ეს ამბავი არ ჰგავდა იმ რომანტიკულ შეხვედრებს ტყის უჩინარ არსებასა და ადამიანთა მოდგმის წარმომადგენელს შორის, რომელიც სავსე იყო მძაფრი, საიდუმლო ვნებებითა და ეჭვებით. თუმცა, ეს ახალი ამბავი იმ უჩვეულო შეხვედრების შედეგს ჰგავდა;

ენით აუწერელ ტანჯვასთან ერთად უამრავი ამოუხსნელი კითხვა აწამებდა ჩემს გულსა და გონებას. აქამდეც ბევრჯერ მსმენოდა სიფში ჩამომსხდარი ქალებისა თუ კაცებისაგან, რომ აი, იმ ოჯახს დევის ნაშიერი ჰყავს სახლში... აი, იმათ ხომ „დაავარშ გვეში“ სახლი აქვთო, აი, ამ წყვილსაც დევმა შეუცვალა შვილი, მაგრამ ხალხში არ აჩენენ, მალავენ, რცხვენიათ, არ გამოჰყავთ სამზოვო. ეს რომ ჭორი არ იყო, დასტურდებოდა სახლებიდან გამოსული შემზარავი ხმებით და მაშინაც როცა „ნადაურები“ მცირე ხნით გამოჰყავდათ გარეთ, მზიან ამინდებში. თურმე, მათ უსაზღვროდ ჰყვარებიათ მზე. ისინი თითქოს ცუდი ამინდებისა და სოფლის საზოგადო დამოკიდებულების ტყვეები იყვნენ. მზიან ამინდებში ზოგიერთი მათგანი ცხრაკლიტულიდანაც ახერხებდა გამოღწევას. ვინ იცის, იქნებ ბევრი ვერც მაშინ აღწევდა ტყვეობას თავს. ასეთ თბილ და ნათელ დღეებში ბევრისთვის მომიკრავს თვალი ჩემს ბავშვობაში - გავიქცეოდი და რამდენჯერმე ჩამოვურბენდი ჩემ მიერ მონიშნული სახლების ეზოებს, სადაც „დევების შვილები“ მეგულეობდნენ. პერიოდულად ვახერხებდი მათთვის თვალის მოკვრას. ისინი მართლაც, საოცრად განსხვავდებოდნენ სხვებისაგან რაღაც მოძრაობებით, გარეგნობით, მეტყველებით, ღიმილით და საოცარი ცხელი მზერით, რომლის სითბო ძალიან ჰგავდა მზის მცხუნვარებას. ეს მზერა ადგილზე მაშეშებდა. მინდოდა დიდხანს გაგრძელებულიყო ის უჩვეულოდ რბილი, ფუმფულა, ნაზი შეგრძნებები, რომელთაც მათგან ვიღებდი. აღტაცებული გავრბოდი ბაბუასთან, რომ მეხარებინა:

- ბაბუა, ვიპოვე, ვიპოვე ნამდვილი ადამიანები.

ის კი უხმოდ ჩამიხუტებდა გულში და ვგრძნობდი, როგორ მალავდა ცრემლებს. ბაბუას სხვა კითხვებს აღარ ვუსვამდი, ისევ გავრბოდი და უკან მომყვებოდა მოხუცის შეგონება:

- ყურადღებით და გონივრულად ეძებე, შვილო, მთავარი განძის ძებნა გააგრძელე, სწორ გზას ადგახარ, აუცილებლად იპოვი!

ბავშვობაში, ცნობიერების პირველივე გახსნაზე ჩავთვალე, რომ მზე, მე და სამყარო ერთად დავიბადეთ, რა ხნისაც მზე იყო, მეც იმდენის ვიყავი და ყოველგვარი კადნიერების გარეშე, ბუნებრივად ვთვლიდი, რომ მე და მას თანასწორი მეგობრობა გვაკავშირებდა. ამას მზის სიდიადე და ჩემი სიპატარავე ხელს არ უშლიდა. როცა ბაბუამ მითხრა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მზე გაქრებაო, ასმაგად მომემატა სადარდებელი. ბაბუასეული დევიზის მიხედვით,

სადაც ნახევარი ტყუილია და ტყუილზე მეტი სიმართლე, მე მეტობისკენ გადავიხარე, ამიტომ დავიჯერე მისი ნათქვამი და ვუსაყვედურე

- მზის გაქრობის დღეს მშვენიერი როგორ შეიძლება ეწოდოს?

მან მანუგემა: -ვინ იცის, იქნებ „უკეთესს“ გვიმზადებს „ის“, ვინც მზით გვათბობსო.

ბაბუას ნათქვამმა გული გამიმაგრა, მზე დამენანა, თუმცა მასზე „დიადის“ მოლოდინი დამეუფლა. უნებურად თვალი ჩავუკარი ბაბუას და გადავამოწმე გულში დადასტურებული: - მე და შენ ვნახავთ ხომ ყველაფერს?

- უნდა ვნახოთ!
- როგორ?
- არ ვიცი, პასუხი გულში ეძებე!
- ნეტა ყველაფერი როგორ ეტევა ამ პატარა გულში?- მინდოდა მეთქვა ბაბუასთვის, მაგრამ შევატყვე ჩემს თავს გაღიზიანება, ამიტომ გავჩუმდი. სულერთია, გაბრაზებულ ტონზე ბაბუა მაინც შემაწყვეტინებდა საუბარს. მზეზე „უკეთესზე“ ფიქრსაც კი გონებიდან გადავყავდი. ეს იყო უპირობო შეთანხმება უხუცესის და უმრწემესისა მარადიულობაზე, რის აყირავებასაც ჩემს ცნობიერებაში, შემდგომ მთელი გარე სამყარო ცდილობდა, რატომ? არ ვიცი!

ყველაზე მეტი საერთო „ნადააურებთანაც“ ის მქონდა, რომ მეც მათსავით მიყვარდა სამყაროს ყვითელი გული. ყელმოღერებული, დახუჭული თვალებით მზის გულზე მსხდარნი ერთნაირად ვისრუტავდით მის საოცარ ენერგიას. საამურ ფიქრებთან ერთად მკლავდა ინტერესი იმაზე, ვინც იზრუნა ასეთი საოცარი ქმნილებით გაეთბო ქვეყანა.

მიკვირდა, რატომ ეძახდნენ ამ კეთილშობილი მნათობის განსაკუთრებულ მოტრფიალეთ „დაავარს“, რადგან ისინი ადამიანთა შორის უდიდეს სიკეთესა და სითბოს ასხივებდნენ. მათში ვერ მონახავდით ბოროტებისა და უკეთურობის მცირეოდენ კვალსაც კი. მათ მზე უყვარდათ უსაზღვროდ, ამიტომ რომ ეთქვათ ჩემთვის, რომ ისინი ამ ვეებერთელა ვარსკვლავმა გადმოსვაო თავისი სხივებით დედამიწაზე, უფრო დავიჯერებდი, ვიდრე მათ „ნადააურობას“... მათ ხომ მზე მართლა დედასავით უყვარდათ.

არ ვიცოდი, როგორ გამომეხატა პროტესტი, როდესაც მათ „დაავარს“ ეძახდნენ. მზის გულზე თითოეულ მათგანს საოცრად გამოკვეთილი და საყვარელი ჩრდილები დასდევდა. ამით ვასაბუთებდი, რომ ისინი არ არიან უსაგნო არსებები, შესაბამისად, არც დევების შვილები, მაგრამ დაცინვის მეტს ვერაფერს ვიღებდი. ამ ქვეყანაზე ისინი ყველაზე მეტად მიზიდავდნენ და ჩემთვის ადამიანობის საზომს წარმოადგენდნენ. როგორც ლაკმუსი წარმოაჩენს ნივთიერების მახასიათებელ ფერს, ასევე „ნადააურებთან“ დამოკიდებულებაში „ადამიანები“ საოცრად ამჟღავნებენ საკუთარ თავს.

სოფელში სჯეროდათ, რომ მელოგინე დევებმა გაჩენისთანავე ჩაუნაცვლეს საკუთარი ჩვილები მშობიარე ქალებს. თავს ვიმტვრევდი იმაზე ფიქრით, თუ რატომ აკეთებდნენ ამას? თუკი ისინი მართლა დედამიწის ბინადრები არიან, მათშიც, როგორც ნებისმიერ სულიერ წყობაში, ხომ უნდა ყოფილიყო დედაშვილური სიყვარული? რატომ უცვლის თავის ნაშიერს ადამიანებს? სხვის შვილს თავისი რად არ ერჩივნა? იქნებ რომელიღაცა წყვილმა, რაღაცით თავის პრიმატ თანამომეებზე მაღლა მდგომმა, გადაწყვიტა შვილი ცივილიზაციისთვის ეზიარებინა, ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, სასწავლებლად გამოუშვა ადამიანებთან. ან იქნებ მსტოვრად შემოაგდეს თავიანთი ფარული საქმეების შესასრულებლად, ან ექვიანობის ნიადაგზე, შურისძიების მიზნით უმწარებდნენ ადამიანურ წყვილს ცხოვრებას? აკი, ცივილიზაციას ვერ იტანენ, გარბიან უდაბურ ადგილებში და რაღაც მიზნით ზოგჯერ შეახსენებენ ადამიანებს თავს?

სოფლის მკვიდრთა შორის „ნადააურების“ ცხოვრება სევდიანად ვითარდებოდა. მათ უმეტესად მალავდნენ ან თუ გამოაჩენდნენ სოფელში, მაშინ ისინი დაცინვის, გართობისა და უხეშად თავის შექცევის ობიექტები ხდებოდნენ, რაც მათი პატრონების პატივმოყვარეობას ლახავდა. ადამიანებისაგან მოტაცებული შვილების ამბები კი ბოლომდე უცნობი რჩებოდა, რადგან დევებისაგან თავის დაღწევა ჯერჯერობით ვერავის მოეხერხებინა.

მსგავს ამბებს ჰყვებოდნენ ხშირად, ოღონდ ისინი წარსულს ეკუთვნოდა, ამიტომ ნაკლებად დამაჯერებლად ჟღერდა. ახლა კი გაგონილით გაოგნებული ვიყავი, რადგან ჩემ თვალწინ ცოცხლდებოდა ზღაპარი იმთავითვე ტრაგიკული პროლოგით და როგორი ეპილოგი ექნებოდა არავინ უწყობდა; ყოველ შემთხვევაში, ზღაპარს „კეთილი ბოლო“ არ უჩანდა.

ბაბუა ილიას ზღაპრიდან სოფელში გადმობრძანებული მზექაბუკი, პატარა ელთაგანი აკვნიდან გაქრა და მისი ადგილი დაიჭირა „ნადააურა“ ბელთაგანმა.

მამაჩემის შიშის მიუხედავად ჩუმი მივუცუცქედი საფიხვნოზე თავმოყრილ ქალებს. მინდოდა გუშინდელ ამბებზე კიდევ გამეგო რამე ახალი. ქალების კრებულთან მიახლოებაც კი აკრძალული გვქონდა დებს. ამის მიზეზიც მე გავხდი, ჩემი ცნობისმოყვარეობის გამო. ამავე დროს სადაც კაცები იკრიბებოდნენ, იქ დაშვებული ვიყავით. ეს დიდხანს გაუგებარი იყო ჩემთვის. მართალია, ამ აკრძალვის შემდეგ უფრო მოვუხშირე მათ მიყურადებას, მაგრამ ტაბუ გვიან გავაცნობიერე.

მამაჩემის აზრით, კაცები მუდამ სოფლის საჭირბოროტო საქმეებზე საუბრობდნენ, ან მოახლოებული რელიგიური დღესასწაულის თადარიგს იჭერდნენ. ისინი ზოგჯერ მსუბუქადაც ხუმრობდნენ, მაგრამ შეუძლებელი იყო მათგან ბილწი სიტყვა მოგესმინათ. ასეთი რამ ტრადიციულად მიუღებელი გახლდათ. ჩემი კუთხის სამეტყველო ენაში საგინებელი და ბილწი სიტყვები არ არსებობდა. როცა ზრდასრული ჩავედი დედაქალაქში, მაშინ პირველად მოხვდა ჩემს ყურს საშინელი გინება. ახლაც მეცოდება ის გაცოცხლებული გოგონა, რომელიც არა მარტო სიტყვებმა, არამედ მისი მოხდენილი ავტორის უეცარმა

ტრანსფორმაციამ შეაძრწუნა. რაღაცაზე გაბრაზებული ყმაწვილი, რომელსაც გახელებამ კიდევ უფრო მამაკაცური იერი შესძინა, ჩემს თვალში, უცებ ხუხულასავით ჩამოინგრა. სოფლელი გოგონას წარმოდგენა, რომ ყველა ქალაქელი ლამაზი და დახვეწილია, წაშში გაიბზარა. უმწეოდ ვიყურებოდი აქეთ-იქით და ველოდებოდი ირგვლივ მყოფთა რეაქციას. თუმცა, არავის გაკვირვებია ბილწსიტყვაობა, მე კი მინდოდა ფეხქვეშ მიწა გამსკდომოდა და შიგ ჩავვარდნილიყავი, რომ დაეფარა სიწითლეში გადასული ჩემი სახე, ორმაგად გაფართოებული ჩემი თვალები. ძირს დახედვა მზარავდა ფურთხით გაჟღენთილი ასფალტის გამო, ჩემი ოცნების ქალაქიც ნელ-ნელა ემსგავსებოდა ცეცხლზე დადგმულ კოლბას, რომლის ყელიდანაც უსასრულოდ ინთხეოდა დაბინძურებული სულისა და დაავადებული სხეულის რეაქციის ტყუპი ნაყოფი - ბილწი სიტყვა და ბლანტი ლორწო!

შეურყვნელი მეტყველების, ჩემი ბავშვობისა და ჩვენი კეთილშობილი ილია ბაბუას ამქვეყნიური სიცოცხლის დასასრული, რატომღაც, ერთმანეთს დაემთხვა. მეგონა, ბაბუა მეტყოდა მთავარი საძიებელი განძის სახელს, მაგრამ ისე გამეპარა, რომ მხოლოდ მიწაზე ყოფნა, დაულალავი ძიება და საკუთარ გულსა და გონებაში ჩახედვა მასწავლა, რის შედეგადაც ნელ-ნელა ჩემი ფიქრის საგნებმაც გადაინაცვლეს მიწის ზემოთ.

ქალებს რაც შეეხებათ, ისინი კაცებისაგან განსხვავებით, ყველაფერზე საუბრობდნენ, ჰყვებოდნენ წინა ღამის სარეცლის ამბებს, ხუმრობდნენ ერთმანეთის ქმრებზე, ჭორაობდნენ გასათხოვრებზე, ქვრივებზე, ქილიკობდნენ ბერბიჭებსა და შინაბერა გოგოებზე. მათთან სიახლოვეს დგომაც კი სასტიკად ამიკრძალა მამამ ერთი ჩემთვის საოცარი ამბის მოსმენის შემდეგ, რისი ახსნაც ჩემს მშობლებს ვთხოვე.

ერთხელ შორიახლოს ვთამაშობდი ქალების საფიხვნოსთან. რაღაცას ისე ჩუმად ლაპარაკობდნენ, რომ ვერაფერს ვარკვევდი. ჩემი ცნობისმოყვარეობა მიიზიდა უცებ ატეხილმა გაოცების ქაქანმა.

- ახ, საოცრებავ, ახ საკვირველებავ, მაინც როგორ ხდება ეს ყველაფერი? - თავსაფრის სწორება-სწორებით კითხულობს ერთი. უცებ მეორე ქალმა ნამალადევიად ჩაახველა, თავი მიაბრუნა გვერდზე და გადააფურთხა:

- აი, ქალებო, ბოდიში მომიხდია თქვენთან ამ უზრდელობისთვის, მაგრამ აი, ხომ ხედავთ, არც მეტი, არც ნაკლები, ასეთი ფურთხისგან ვიწყებით და ვიქმნებით.

- რა ჯადო და ძალა აძლევს ფორმას, სიცოცხლეს, სული როგორ ჩაგვებერება, ახ, როგორი მიუწვდომელია ეს ყველაფერი ჩვენთვის.

- ყველაფერი საკვირველია, მაგრამ ადამიანზე დიდი სასწაული ალბათ არაფერია ქვეყანაზე, როგორ ვიწყებთ სუნთქვას, როგორ ვიდგამთ ენას, რა ძალა გვალაპარაკებს, საიდან მოგვდის აზრები, რა ხდება ჩვენში?

ფურთხის ავტორმა აქეთ-იქით გაიხედა, მერე გადახედა ქალებს და ჩუმად გადაულაპარაკა:

- ვინც გვარწმუნებს, რომ ამაში ღმერთის ხელი არ ურევია, იმის ღირსია, ისევ იმ ფურთხად გადაიქცეს!- ახლა კი უფრო სიღრმეიდან ამოახველა და ისევ გადააფურთხა.

ჩემდა უნებურად როგორ აღმოვჩნდი, დაშტერებული მზერით, ფურთხთან ჩაცუცქული ვერ გეტყვით, მახსოვს მხოლოდ ის, თუ როგორ გამაძევეს იქიდან ქალებმა.

- უი, შე, არგასაზრდელო, რავა ყველგან ძვრები და გვეჩხირები, წადი აქედან, ყველაფერი როგორ გაინტერესებს. ჯერ დედის რძე არ შეგშრობია პირზე და უკვე დაბერებული ხარ!

გავიქეცი შინ და ეზოში მოფუსფუსე მამას მივვარდი აკანკალებული ახალი ამბის ელდისაგან.

-მამა, მითხარი ფურთხისაგან როგორ ჩნდება ადამიანი?

-რა ფურთხისაგან, საიდან მოიტანე ეს ამბავი, ვისგან გაიგონე?

- აი, სიფში ქალები რომ სხედან ხოლმე ერთად, იქ ლაპარაკობდნენ და გავიგონე!

მამაჩემმა ჯერ თვალეში მიყურა ჩემთვის ნაცნობი სასტიკი მზერით, შემდეგ ჩემ გასაოცრად დედაჩემს დაუძახა საშინელი ხმით და მთელი სიბრაზე მასზე გადმოდანთხია.

- ქალო, თუ არ შეგიძლია ამ ბავშვს რამე ჩააგონო, მაშინ ჩაკეტე და შინიდან ფეხი არ მოაცვლევი. ამის შემდეგ თუ გავიგე, რომ სადმე ახლომახლოსაც კი გაჭაჭანდება შეკრებილ ქალებთან, ჯერ შენთან მექნება საქმე და მერე ამ ღლაპთან!

დედამ ამიხსნა, რომ არ შეიძლებოდა ქალების კრებულთან ასეთი პატარა ბავშვის ყოფნა, რადგან სანამ გაიზრდები, იმათ ნათქვამს არასწორად გაიგებ და და ხიფათს ვერ აცდები! თანაც, ხომ გაიგე, როგორ დამემუქრა მამაშენი, ხომ არ გინდა, რომ რამე დამიშავოს?

აი, თურმე, რატომ გვიკრძალავდა მამა მათთან მიახლოებას, მაგრამ მათი მოსმენით ბევრ ისეთ კითხვას ეძლეოდა პასუხი, რაზე ფიქრსაც ვერავინ ვერ ამიკრძალავდა. იფიქრე რაზეც გინდა და რამდენიც გსურს, ვერავინ დაინახავს და შესაბამისად ვერავინ ხელყოფს შენს აზრებს, ამიტომ ფიქრის გარეშე ძილის პერიოდიც კი მენანებოდა, თუმცა სიზმრისეული ფრენების შემდეგ ვმადლობდი ღამეს- არც ისეა საქმე, ღამისაგანაც კი შესაძლებელია უამრავი სიკეთის მიღება. უბრალოდ, ვერასოდეს დავიჯერე, რომ ფრენა არ შემიძლია, ამიტომ რაღაც სიმაღლიდან რამდენიმე წარუმატებელ ცდას, მცირეოდენი დაზიანებებით, თავისებური ახსნა გამოვუნახე და უფრო დიდი გაფრენისთვის დავიწყე სამზადისი.

ქალებისაგან გაგონილმა საოცარმა ამბავმა ძილი გამიკრთო. უმოქმედოდ ვერ გავჩერდებოდი. რამდენიმე დღე ვაგროვებდი ქილებს. ჩავთვალე, რომ სწორედ ქილაში უნდა შესრულებულიყო ეს საოცარი საქმე. შვიდი რომ ვიშოვე, რატომღაც ჩავთვალე არც

მეტი მინდოდა, არც ნაკლები. შვიდივე ჩავფალი ჩემი სახლის უკანა ბაღში, „სამოთხის ვაშლის“ ძირში. სათითაოდ ჩავაფურთხე შვიდივეში, დავახურე სახურავები, დავაყარე მიწა და სასწაული დღის ნაზი მოლოდინით დავტოვე იქაურობა. ეს მოხდა გაზაფხულზე. ხვნა-თესვა იყო გაჩაღებული. ვიცოდი მიწაში ჩაყრილი თესლი როგორ ამოდით და ზემოთ გაცოცხლებული. მთელი სოფელი მცენარეულ კულტურებს თესავდა, მე კი „ზავშვების თესლი“ დავთესე და მოსავლის მოლოდინით გაბრწყინებული დავდიოდი. წვიმის მოსვლას ვევედრებოდი ზეცაში „ვიღაცას“, არა მოსარწყავად, რადგან ამას მე თვითონ ვახერხებდი საიდუმლოდ დილა-საღამოს. წვიმა მინდოდა, რადგან ვიცოდი მას მოჰყვებოდა ჭექა-ქუხილი, რომელიც ჩემი აზრით, აუცილებელი იყო ჩემი ჩაყრილი შვიდი „თესლის“ სულის ჩასაბერად.

ჩემ საუბედუროდ, თურმე, უფროსი და აკვირდებოდა ჩემს ქცევებს:

-რას რწყავ დილა-საღამოს?- აი, ასე, სამიოდ სიტყვას თუ გაიმეტებდა, მეტს არ იტყოდა.

-არაფერს, უფრო სწორად, ჩვენი „სამოთხის ვაშლი“ უკვე აღარ ისხამს ძველებურად, მას ვრწყავ, რომ უკეთესად მოისხას.

- ვაი, შე საცოდავო!-დანარჩენი იგულისხმებოდა, რომ თუ გამომიჭერდა ტყუილში, შავ დღეს დამაყრიდა.

უფრო ფრთხილად გავაგრძელე მოქმედება. მალე იქვე პატარა წრუწუნები აღმოვაჩინე, მე თვითონ არ მეჯერა, მაგრამ შვიდი დავითვალე. ნირწამხდარმა, მაშინვე გადავამოწმე შვიდივე ქილა, ყველა იმავე მდგომარეობაში დამხვდა, თანაც ჭექა-ქუხილი ჯერ არც ერთხელ არ ყოფილა. გადავავარე ისევ მიწა და წრუწუნებს დავუწყე თამაში. სათითაოდ ამყავდა ხელში, ვეფერებოდი, იქვე შორიახლოს დარბოდა მათი დედა. სახლში გავიქეცი პურის წამოსაღებად, ჩემი უფროსი და ფეხდაფეხ გამომყოლია. მე მშვიდად დავიწყე პატარ-პატარა ნამცეცხვებით წრუწუნების დაპურება. უცებ როგორ დამადგა თავზე ჩემი და ვერც გავიგე.

-ფუუჰ, რას აკეთებ შე სულელო, ამათ ხელს როგორ კიდებ, შე ბინძურო, გადააგდე ახლავე!

ფეხი მომარტყა ხელებში, წრუწუნა სადღაც ბუჩქებში გადავარდა, დანარჩენებს კი დაუწყო ფეხებით გათელვა. გავიგონე საწყალი დედის წრუწუნი. შევევედრე ჩემს დას, შეხედე, საწყალი დედა როგორ უიმედოდ დარბის, არ გეცოდება, შენც ხომ გყავს დედა?

- შე გიჟო, გადარეულო, მე შენ გასწავლი ჭკუას, ქათმისტვინავ, ამ თავგზე მეტი ჭკუა არც შენ გაქვს, მოიცა მოვიდეს მამა შინ!

ქვები ესროლა დედა თავკსაც, შემდეგ ისევ მობრუნდა ჩემკენ, რადგან შემატყო რაღაცას ვეფარებოდი, მომკიდა ხელი, გადამაგდო გვერდზე და დაუწყო ახალ მორწყულ ქილებს

ფეხებით ჩიჩქნა. მთლად გაცოფდა ქილას რომ მოხვდა ფეხი. ჯოხი აიღო და იმით ამოთხარა ოთხი ქილა. რატომღაც ჩათვალა, რომ მეტი არ იყო. სულ აქეთ-იქით ისროლა და ქვებს მიაშხვრია თითოეული ქილა.

-არანორმალურო, დებილო, დედა მურაბებისთვის სულ ქილების ძებნაშია, შენ კი მიწაში მარხავ?

მე ტირილისა და ვედრებისაგან ხმა უკვე აღარ მქონდა. ჩემმა დამ იქვე დამტოვა. მოგვიანებით, ალბათ დედას გააგებინა ჩემი ამბავი, რომელმაც ტირილისაგან ქანცაწყვეტილი ხელში აყვანილი შემიყვანა შინ და დამაწვინა ლოგინში. მიუხედავად ბევრი ცდისა, ვერავინ მათქმევინა, რად ჩავფალი ქილები მიწაში. დარჩენილ სამ ქილას ველარ მოვუარე, რადგან ვიავადმყოფე დიდხანს და თანაც მსტოვრებივით მუდმივად მითვალთვალებდნენ, რომ რაღაც უცნაურობა არ ჩამედინა. როცა მოვახერხე მისვლა ჩემს ქილებთან, მიწა მთლად ქვასავით გამაგრებულიყო, ძლივ-ძლივობით ამოთხრილ ქილებში კი „თესლის“ ნასახიც აღარ იყო.

ქალების საკრებულოში, რაღაც „ჯადოსნობით“, საქვეყნო ამბებიც საოცარი სისწრაფით მოჰქროდა. ახლაც, თითქოს ჩემ მაგივრად სვამდნენ კითხვებს და თვითონვე პასუხობდნენ: ნეტავი, სინამდვილეში როგორები არიან დევები? რამხელები იზრდებიან? ადამიანებზე უფრო ღონიერები არიან? რაში სჭირდებათ ჩვენი შვილები?

სოფლის სწავლულმა „ფურთხიამ“ საიდუმლოდ ჩასჩურჩულა ქალებს:

- ყველა სიმართლე თურმე ერთ წიგნშია თავმოყრილი, მაგრამ ჩვენ გვიკრძალავენ, გვიმაღავენ, ძალიანაც რომ გვინდოდეს, ვერსად ვიშოვით, ის კი არა და იმაში ღმერთის მიერ შექმნილი ყველა არსება ჩამოთვლილი ყოფილა, დევები კი არსად იხსენიება თურმე.

- ღმერთის თუ არა ჰეერისა ხელი იქნება გარეული ამ ამბავში!- გაღიზიანდნენ ქალები.

- ჰეერისა მთავრობა მოვიდა და ახლა სიმართლეს „ჩვენზე ზრუნვით“ გვავიწყებს!- ისევ დაამატა „ფურთხიამ“, რომლის აზრი თითქმის არავის აინტერესებდა, როგორც ერთი უსაქმურისა, რომელმაც „სიზარმაცის გამო ბიბლიოთეკაში იშოვა სამუშაო, რათა ფეხი ფეხზე გადადებულს წიგნებით გაერთო თავი და გაეყვანა დრო. ამიტომ, ამჯერადაც მის „მჭერმეტყველებას“, ერთმანეთის ქვემ-ქვემ გახედვით დასცინეს და საუბარი თავისებურად გააგრძელეს.

- რა დროს მთავრობა და მხედრობაა, ქალო, ცოტა გონს მოდი!- გადაიხარხარეს ქალებმა
- როგორები არიან ნეტავი დევები?- მიუბრუნდნენ პირველ ნათქვამს.

- ქალო, რაღა შორს მიდიხარ, დალილასა და შერგილის ვალას ხომ ყველა ვიცნობთ, ერთხელ მაინც მოგვიკრავს თვალი საგულდაგულოდ გადამალულ სხვა „ნადაურებისთვის“, ახლა, ახალი „დაამშვენებს“ ჩვენს სოფელს და ვნახოთ როგორი იქნება. „დედა ნახე, მამა ნახე

შვილი ისე გამონახეო“, აქ პირიქით, შვილი უნდა ნახო და მშობლებიც მისი მსგავსებით წარმოიდგინოთ.

-შეამჩნიეთ, ქალებო, როგორ ეფერებოდა მარიამული იმ ნადააურას? ასე მხოლოდ ავადმყოფ შვილებს ეფერებიან დედები, ის კი საზიზღარი „ჰეერიას“ შვილობილს ასე სათუთად როგორ ეპყრობა?

-ჰოო, ქალო, თითქოს არ იცოდე, რომ გააწამებს დევი ველოდის, მის ნადააურას თუ არ მოვეფერებით. წუხელ უკვე ბევრმა გაიგონა ჩვენი მზეჭაბუკის ტირილი, ხან მუჰლაალააშის ტყიდან, ხან ჩაბურგანის მინდვრებიდან, ლაკადან, ლადეევალადან, სგობულიდან და ბაალიდანაც კი ესმოდათ მისი კვნესა. ნეტავი, ასე სწრაფად როგორ დააქროლებს იმ საცოდავ ბავშვს „ჰეერიას მოწაფე“. საცოდავი ველოდის ბებია, ასეთი ბებია-შვილიშვილის დაშორება, ალბათ, არ ახსოვს ჩვენს სოფელს.

- საწყალი თეთრუვაი, მთელი ცხოვრება ელოდებოდა, სახელიც უჩვეულო დაარქვა და შერჩა ისევ ლოდინი, იქნებ მართლა დაბრუნდეს, ხომ ხდება სასწაულები ამ ქვეყანაზე?

- ის დევის ნაშიერიც რომ ერთ წუთსაც არ აშორებს მარიამულს მოსიყვარულე მხერას, ეს როგორ გავიგოთ?
- თავისი მახინჯი დედის ნაცვლად მარიამულის უმშვენიერეს პირისახეს უყურებს, იმით ტკბება, მაგრამ ყველა სულიერს თავისი დედა ჰგონია ყველაზე მშვენიერი, რატომ არ ტირის და არ ეძებს ის ბრიყვი თავის დედას?
- ვაი, ველოდის, რომ დედის ნაცვლად დევის ბანჯგვლიან სახეს შესცქერის. კარგადაც რომ მოექცეს მარტო მისი დანახვა გაუხეთქავს გულს.
- აქამდე ორსულ ქალებს უსაფრდებოდნენ დევები და გაჩენისთანავე უცვლიდნენ შვილებს, ასე არ შეუცვალეს მშობიარობისთანავე საცოდავ დალილას შვილი? ახლა კი წამოჩიტული ბავშვი მოიპარა და დაახლოებით მისი ხნის „ნადააურათი“ ჩაანაცვლა. გაზრდილი ბიჭი გამოგვაცალეს დევებმა ხელიდან. რა გვეშველება, ბავშვებს სათამაშოდაც კი ვერ გავუშვებთ მუჰლაალააშში. ველოდის გაქრობამ ერთიანად დაგვაშინა დიდ-პატარა.

ველოდის ხსენებაზე ტირილს ვერ ვიკავებ, ვცდილობ, არ მივცე გზა დაგუბებულ გრძნობებს, ცრემლები თითქოს გულ-მუცელში ჩაედინება. ის მლაშე რძის გემოს იღებს. პირი მევსება ამ მარილიანი სითხით, ხელებს ვიფარებ, ვცდილობ არ გადმოვანთხო, მაგრამ ვგრძნობ, როგორ მოჟონავს ცხვირიდან, თვალებიდან, თითქოს ყურებიც კი მისველდება, ვერაფერი აკავებს მოზღვავებულ გრძნობას და უცებ რაღაც არაბუნებრივი, მგლური ყმული ამომდის ყელიდან. ჩემი ღმულისაგან ელდანაცემმა ქალებმა შეჰკვივლეს, იდილია დაერღვათ;

- რა გაკვივლებს, შე არ გასაზრდელო, შეხედე, შეხედე როგორ აღვარღვარებს ცრემლებს!

ყველა მე მიყურებს, შიში მიპყრობს, მამამ არ დამინახოს ამ ქალებთან. სასჯელს ვერ გადავურჩები. მომიწევს დიდხანს შინაური პატიმრობა. უარვყოფ, რომ ვტირი და სლუკუნით ვუხსნი:

-კი არ ვტირი, თვალებიდან და ცხვირიდან მლაშე რძე გამომდის და ის მაწვალებს.

ქალები ხარხარებენ, ერთმანეთს უყურებენ მრავლისმეტყველად, ხან მე გადმომხედავენ, ქოთქოთებენ, დამცინიან:

-თაფლი და კარაქიც ხომ არ გამოგდის, აბა გვაჩვენე!

-გაანებე, ქალო, თავი, ხომ იცი რა უცნაური ვინმეა, არავის ჰგავს, თავისი დებიც კი ვერ ეგუებიან...

-რა იცი, იქნებ ესეც დევის ნაშიერია, ოდნავ ადამიანური გარეგნობით, უცნაური ქცევები კი აქვს...

მე ისედაც მკლავს უცხოობა, მოსასვლელი და წასასვლელი გზების უდაბურობა, მოჩვენებები. გაურკვეველობა, ეჭვი, ახლა ამ ქალების სისასტიკე ტანჯავს ჩემს გულს.

-იქნებ, მართლა მეც დევის შვილი ვარ? თანაც გულწრფელი მეგობარი მხოლოდ ერთი მყავს, ისიც შერგილის და დალილას „ნადააურა“ შვილია-ვალა.

ველოდი

გუმინ საზარელი ამბავი მოხდა ჩემს სოფელში. ბინდბუნდს რიჟრაჟი ერეოდა, როცა გამყინავი კვილი ისარივით ეკვეთა თითოეულის მძინარე გულსა და სმენას. კვილი აღარ განმეორებულა, ამიტომ ვეღარ გაერკვნენ ამ სოფლის მკვიდრნი სიზმარში იყვნენ თუ ცხადში.

ნაწილი გამოფხიზლდა და დამაბა სმენა მომდევნო ხმის მოლოდინში, ნაწილმა კი გააგრძელა ხეტიალი სიზმრის ახალ-ახალ სიუჟეტებში, რაც გაგონილმა კვილიმა კიდევ უფრო გაამძაფრა.

შემდეგ სოფელი მცირე ხნით პირველყოფილმა მდუმარებამ მოიცვა. დარჩნენ ადამიანები სიზმრისეულ და მიყურადებულ მდგომარეობაში. თითქოს, თითოეული წამი საუკუნემდე გაიწელა. ოთხიოდ წუთში სოფლის მდუმარება საშინელ გუგუნში გადაიზარდა. რალაცა ამბავი ცეცხლივით მოედო თითოეულის ოჯახს. გარეთ ამბის გასაგებად გასული დედები კისრისტეხით ბრუნდებოდნენ შინ, მისცვივდებოდნენ შვილებს, შეუბრალებლად ანჯღრევდნენ, აღვიძებდნენ, აშტერდებოდნენ, სახელსა და გვარს ეკითხებოდნენ, ხელ-ფეხს უსინჯავდნენ, გამომცდელად თვალებში ჩასცქეროდნენ. ისეთი შემზარავი სახეები ჰქონდათ, თითქოს ყველა ერთბაშად შეიშალაო.

ნახევრად მძინარე ბავშვები გაოგნებული შესცქეროდნენ მშობლებს, ვერ ხვდებოდნენ, რატომ აღვიძებდნენ დილაუთენია, რა უნდოდათ, რას ითხოვდნენ მათგან. ზოგს ხუმრობა ეგონა, უცხოსავით რომ ეკითხებოდნენ სახელს და გაღიზიანებული სხვა სახელს პასუხობდა, რასაც ლოყაზე ერთი-ორი სილა მოჰყვებოდა გამოსაფხიზლებლად. შემრწუნებული

ბავშვები იწყებდნენ ტირილს. ერთიმეორის განწირულმა ხმამ და დედების უჩვეულო ქცევამ მთლად შიშის ზარი დასცა მათ. ცოტა ხანში სოფელი აიკლო ყრმებისა და დედების საზარელმა მოთქმა-გოდებამ. დედებმა ჩასჭიდეს შვილებს ხელი და გაიქცნენ იმ სახლისკენ, საიდანაც პირველი კვილი გამოვიდა. რამდენიმე ქალს უკვე გამოეტანა ამბავი, რის შემდეგ ბევრს არც მოუნდომებია შესვლა. არავის ჰქონდა იმის თავი, ენახათ ის, რის შესახებაც გარეთ გამოსულები ჰყვებოდნენ. დედებმა კიდევ უფრო მაგრად ჩასჭიდეს შვილებს ხელი, თითქოს რაღაც უჩინარი და მაინც საზარელი არსებისაგან უნდა დაეცვათ. ბავშვები უმატებდნენ ტირილს, შემდეგ კი მისავათებულნი ამდენი ბლავილისაგან საცოდავად სლოკინებდნენ.

ჩემს მშობლებს ხუთი შვილი ვყავდით, ხუთივე- გოგო. მე შუათანა ვარ. როცა დედა შემოვარდა ოთახში უკვე მეღვიძა, კვილიმა თითქოს შიგ გულში გამიარა, გასუსული ვიწვექი რაღაც საშინელების მოლოდინში. ის არეულად გვიძახოდა, ყველა სახელის წინ „დედაა ლადაა“ გაიძახოდა, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, ხელებს საგულდაგულოდ გვისვამდა ყველგან, თითქოს გვიმოწმებდა სხეულის ყველა ნაწილი ადგილზე გვექონდა თუ არა. რაღაც ამბების გახსენებას ითხოვდა ჩვენგან, თუ სად ვიყავით, ახლა სად ვართ, რა გვტკივა, რა ხდებოდა წინა დღეს, ძილი ხომ არავინ დაგვიფრთხო, უჩვეულო ხომ არაფერი გვინახავს... მე ისევ ჩვევისამებრ ჩუმად ვიყავი და უფრო მშვიდად, ვიდრე ჩემი უფროსი დები, უმცროსები კი შიშისგან ატირდნენ; შეეშინდათ დედის, რომელიც არ ჰგავდა ჩვენს სათნო დედას, აქამდე ხმითაც კი რომ არასოდეს გავუღვიძებიათ- მხოლოდ მოფერება და კოცნა იყო ჩვენი მალვიძარა. სახეშემლილი, შეცვლილი, შეძრწუნებული იდგა ჩვენ წინ და უჩვეულოდ გვაწამებდა, გვჩქმეტდა, არანაკლებ გამწარებულთ. გაუგებარ კითხვებზე გვთხოვდა პასუხის გაცემას. ჩაცმის შემდეგ უმცროს დებს მოჰკიდა აქეთ იქიდან ხელი და უფროსებს გვიბრძანა კაბის კალთაზე ხელჩაკიდებული გავყოლოდით. დედა მიგვარბენინებდა... ვხედავდი ჩვენ დღეში იყვნენ სხვებიც. დედებს მთელი სოფლის ბავშვები გამოეყარათ გარეთ და მიათრევდნენ ერთი მიმართულებით; ზოგი წაქცეულ შვილს აყენებდა, ზოგი შეუბრალებლად ურტყამდა გაჯიუტებულ პატარებს. მეც მივდევი დედას, ვცდილობდი არ ჩამოვრჩენოდი, რამდენჯერმე წავიქეცი, მუხლებიდან და ხელისგულებიდან სისხლი მდიოდა. ბევრი ფეხშიშველი და ნახევრად ტიტველი იყო, ელდანაცემებს სიჩქარეში ვერ მოესწროთ ჩაცმა.

მივალწიეთ სახლთან, რომლის ირგვლივ ცალ-ცალკე ჯგუფად იყო შეყრილი ქალი და კაცი. დედები კრუხებივით გადაფარებოდნენ შვილებს და დაუჯერებელ ამბავს ათასგვარად ატრიალებდნენ.

საქმე ის გახლდათ, რომ მარიამულისა და ბეთქილის შვილი აკვნიდან ისე ამოუცლია დევს და მის ნაცვლად საკუთარი ნაშიერი დაუტოვებია, რომ კაციშვილს ვერ გაუგია. ვინც შიგნით შედიოდა, ნანახით შეძრწუნებულნი, თითქმის ნახევრად გონწასული გამოჰყავდათ გარეთ. აქამდე სადღაც, გულის კუნჭულში, დევებისა და ადამიანების ჩვილების გაცვლის ამბებში ეჭვი ეპარებოდათ. ზოგი გაცვლას არა, მაგრამ იმას მაინც უშვებდა, რომ ამ საქმეში უდავოდ, რაღაც არაადამიანური იყო ჩართული. აი, ისე, როგორც ბაბუა ილიას ზღაპარში-

ტყუპთაგან ერთი - ელთაგანი წმინდა სისხლის ადამიანი იყო, ბელთაგანი კი - ნახევრად ადამიანი. მაგრამ ეს იყო ზღაპრის მოცემულობა. ბავშვები ადვილად ვიღებდით და ვიჯერებდით ამ ამბავს. გოგონები ვერ ვიძინებდით იმ ფასკუნჯის მოლოდინში, რომელსაც ღამე ზურგით ცის ნათელში გადაჰყავდა შეყვარებული ქალიშვილი, დღისით კი მიწაზე დაბრუნებულს ხალხმრავლობაში უნდა გამოეცნო ვაჟად გადაქცეული ზღაპრული ფრინველი. გოგონა ვერასდროს პოულობდა აღთქმულ ჭაბუკს, რადგან ამ არსებით სახელს წინ ყოველთვის მზეს უმატებდა, თავისი წარმოდგენის ხორცშესხმულ ნაყოფს ეძებდა, ის კი საზარელი გარეგნობის, სწორუპოვარი რაინდი იყო, მაგრამ არა მზეჭაბუკი.

საკუთარ კანში ვერ ვეტიოდი. გონებით უკვე შიგნით ვიყავი და ათას საშინელებას ვუყურებდი. ვემზადებოდი გასასხლტომად. გაოგნებული დედაჩემი პატარებს ებლაუჭებოდა, უფროსებიც კაბის კალთაზე იყვნენ ჩამოკიდებული. ამასობაში მე ვისარგებლე არეულობით, გავძვერი-გამოვძვერი და როგორც იქნა, შევადწიე შიგნით. სახლში, მართლაც, გამოაგნებელი სურათი ვიხილე.

მზეჭაბუკი ველოდის ნაცვლად აკვანში უჩვეულო ფორმისა და უცხო გარეგნობის საზარელი ქმნილება იწვა. პირველი ნახვით საშინელი ელდა მეცა. თითქოს ჩემი ოცნების ზღაპრული ფასკუნჯის დამწვარი ფრთიდან უშნო, მაგრამ ახალი რაინდი გაჩნდა. აკვნიდან აფუებული ცომივით გადმოსულიყო ტანი, გადმოყრილი გრძელი მკლავები იატაკს სწვდებოდა, რიკულებში გამოყოფილი უცნაური ფორმის ფეხები თითქოს ამ სხეულს არ ეკუთვნოდა. ბავშვისთვის შეუფერებელ ამ ვეებერთელა სხეულს, ჩვილის მსგავსად, პატარა თავი ჰქონდა და უზომოდ დიდი თვალები, საიდანაც რაღაც საოცარი სხივი და ენერჯია იღვრებოდა. ამ თვალებში ჩახედვამ მუხლები მომიკეცა... დავინახე, თითქოს მათგან ერთბაშად ორი სული იმზირებოდა, რომელთაგან ერთს მეც ვიცნობდი და ის ერთი ველოდი იყო.

სანამ შიგნით შევადწიე, ი სხვა გაურკვეველობა მაწვალებდა, ახლა კი ბევრად მეტ გაუგებრობაში აღმოვჩნდი. მართლა ზღაპარი ხომ არ იყო - ასე თვალსა და ხელს შუა სად გაქრა ველოდი, ან ეს არსება საიდან გაჩნდა? ეს დეტექტივის გამოსაძიებელი საქმე იყო, მაგრამ სოფელი არც არაფრის გამოკვლევას არ აპირებდა, ყველა ბავშვური უშუალობით იღებდა ამ ამბავს და სხვა უჩვეულო შემთხვევებსაც (სხვათა შორის, გულუბრყვილობა ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი თვისება ყოფილა დევებისა.)

ამ უცხო სხეულში თითქოს ველოდი იჯდა და შიგნიდან მთელ გარე სამყაროს უყურებდა არაამქვეყნიურ არსებასთან ერთად, ერთი და იმავე თვალებით. რატომღაც თავზარსა და შიშთან ერთად რაღაცა თბილი გრძნობაც დამეუფლა. ჩემი წარმოსახული სურათი ბევრად უფრო საზარელი იყო, ვიდრე არსებული რეალობა. არაფერი მსგავსი სხვა დროს არ განმეცადა. მისმა თვალებმა თითქოს სარკმელივით შიგნით ჩამახედა. ჩემს თავს შთავაგონებდი, შეცდომაში არ შევეყვანე გარეგნობას.

თავი ჩავლუნე... ასე მეგონა ამ თვალეში მეორეჯერ ჩახედვა დამაბრმავებდა. სხვა ყველა ვიშვიშებდა, ჩემთვის არავის ეცალა და ამით ვსარგებლობდი.

ახლოს მივიწიე, მეგონა შორიდან სხვანაირად მეჩვენებოდა ყველაფერი, თითქოს გამადიდებელი შუშიდან ვიყურებოდი, საიდანაც ყველაფერი შეცვლილად ჩანდა. როცა აკვანთან მოვხვდი, მივხვდი არაფერი მეჩვენებოდა. მართალია, ეს ველოდი არ იყო, მაგრამ ამ არსებაში განსაცვიფრებლად ბევრი რამ იყო მისი მსგავსი და ამავე დროს საშინლად განსხვავებული. ეს უფრო სიზმრისეულ ნახტომს ჰგავდა ერთი ზმანებიდან მეორეში. ამ რეალობამ შემადრწუნა, მაგრამ, ჩემ გასაოცრად, არ შემაშინა, უბრალოდ, უცებ მონატრებამ და იდუმალეზამ ისე მომიჭირა გულზე, რომ ცრემლებად დავიღვარე, აკვანკალდი, შემაცივა, ვიგრძენი, ნიკაპთან როგორ უერთდებოდა ერთმანეთს ჩემი თვალეებიდან გადმოღვრილი რმის პაწაწუნა ნაკადულები.

წინა დღეს მთელი სოფელი ხარობდა პატარა ბიჭით, გვიანობამდე ხელიდან ხელში გადადიოდა, დაღამება არ გვინდოდა, მის მზერას თვალს ვერ ვწყვეტდით. გათენება გვიხაროდა, რომ ისევ ვნახავდით და შევეხებოდით მის უსაყვარლეს თითებს. თუ ვინმე დღის განმავლობაში ვერ მოახერხებდა მის ხილვას, ცდილობდნენ მარიამულის სათნოებით ესარგებლათ და ენახათ ღამის ტკბილად გამთენებელი, ეგრძნოთ მისი ხელის საოცარი შეხება. ხშირად კი ამას ვერ ახერხებდნენ, რადგან მარიამულის დედამთილის მოულოდნელი შეხვედრაც საკმარისი იყო ამ სურვილის ჩასაკლავად.

ბებია თეთრუვაი რაღაც მესაკუთრული გრძნობით იყო განწყობილი ველოდის მიმართ. სახელიც მან დაარქვა შვილიშვილს, რითაც ადასტურებდა, რომ ელოდებოდა სწორედ მას და სოფელს ამ სახელის შერქმევით თავის უპირატესობას უმტკიცებდა.

ბებია მისი ხალხში გაყვანის წინააღმდეგეც იყო. საკუთარი ეზოს იქით გაშვება არ სურდა, არც მნახველებისთვის იმეტებდა, ამბობდა ბოროტ თვალს აიკრავსო. სოფელს კი ვერაფერი აკავებდა. ველოდისთვის ყველა სასურველი იყო, ყველასთან მიდიოდა, თანაც ამას ისეთი სიყვარულით აკეთებდა, რომ თითოეულს ეგონა ყველაზე მეტად უყვარდა ამ ბავშვს.

მე ვნახე ამ საშინელი ამბის წინა ღამეს ველოდი, აბა, ისე რა დამამინებდა. სიყვარულით დანაყრებული დავბრუნდი შინ, ღამეს მინათებდა ჩემში გადმოსული პატარა მზე. მისი პაწაწუნა თითების სითბო დიდხანს რჩებოდა ჩემს ლოყებზე.

-თავზე დამადე ხელი, თავზე, დაბუჟებული მაქვს ტკივილისაგან, შენი ერთი შეხება კი ყოველგვარ სნეულეზას მომირჩენს,- ჩიფჩიფებდნენ მოხუცები.

მის მნახველს ავიწყდებოდა დაღლა, შიში, სიცივე, შიმშილი. მთელი სოფელი მოუთმენლად ელოდებოდა გათენებას იმ ახალი დღესასწაულისთვის, რაც ამ ბავშვის ხილვას

მოწყვებოდა. თითოეულ ადამიანთან შეხვედრისას ის ისე შლიდა პატარა მკლავებს, თითქოს მთელ სამყაროსთან ერთად უნდა ჩაეკრა გულში.

ახლა კი სოფელი თითქოს სიცოცხლის მიღმა აღმოჩნდა. ჩაკვდა სიხარული. დღეებიც კი ღამეებს დაემსგავსა.

ვუყურებდი ამ საზარელ არსებას, რომელმაც არა მარტო ველოდის ადგილი დაიკავა, არამედ თავისებურად მთელი სოფელი გადაფარა და ვცდილობდი ამეხსნა, რატომ ჰგავდა დევის შვილი ასე საოცრად ჩვენს მზექაბუკს, საზარელი - საყვარელს.

ცრემლიანმა მზერა ვიგრძენი, ავიხედე და მარიამულის თვალები შემეფეთა. გავირინდე... ახლავა გავიაზრე, რა მდგომარეობაში იქნებოდა დედა, რომელსაც აღარ ჰყავდა გვერდით შვილი, რომელიც უნუგეშოს, მოხუცს, ბავშვს, ავადმყოფს, ყველას ერთნაირად ახარებდა, იმედითა და შვებით ავსებდა. თითქოს მთელი სოფელი თავისუფლდებოდა შურისაგან, ყოველგვარი ბოროტი ზრახვებისა და ვნებებისაგან. ახლა კი მათ წინაშე იწვა სხვა, რომელიც არავინ იცოდა ვინ იყო. მართალია, სოფელი მას „დაავს“ უწოდებდა, მაგრამ სოფლისთვის ყველაფერ შეუცნობელს დევი ან ბოროტი სული ერქვა, ამიტომ სინამდვილეში რა მოხდა, სად გაქრა, საიდან გაჩნდა ეს გაურკვეველი წარმომავლობის არსება, არავინ უწყობდა.

მეყო ძალა და მარიამულის მზერას მზერა გავუსწორე, მისმა თვალებმა საოცარი სითბო და სიმშვიდე მომანიჭა. ამდენი შეშლილი ადამიანის წიაღში, ის ერთი არავის ჰგავდა, მისი სახე ტკივილთან და მწუხარებასთან ერთად იმდენად ნათლად გამოხატავდა სიმშვიდესა და მორჩილებას, რომ გადამდებად მოქმედებდა, ვინც გულის თვალით შეხედავდა. მეგონა მე მიყურებდა, მაგრამ ამავე დროს მისი მზერა თითქოს ყველგან იყო მიმართული, ცისა და მიწის ყველა განზომილებაში. მისი გრძელი, სიფრიფანა თითები ამ არაამქვეყნიური ბავშვის მკლავზე ისე სათუთად ეწყო, რომ თვალი ვერ მოვწყვიტე. მოზღვავებული გრძნობისაგან ისევ რძის მსგავსმა ცრემლებმა იწვიმა ჩემი თვალებიდან. ვხედავდი, თუ როგორ სათუთად ეფერებოდა „ნადააურას“. მიუხედავად იმ შეშლილი ყაყანისა, ეს არსებაც საოცრად მშვიდად იყო. მათი უცნაური ერთობა და სიმშვიდე ვერ წაშალა ვერც გაცოფებულმა ბრბომ და ვერც განრისხებულმა ბებიამ, რომელსაც ჩამოხოკილი ჰქონდა ლოყები, სისხლი ზედ შეხმობოდა, შეშლილი თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა და გამწარებული კივილისაგან ხმა ჩახლეჩოდა. რამდენიმე ქალი ძლივს აკავებდა, იწევდა აკვნისკენ და იმუქრებოდა მასში მწოლი არსების მოკვლით.

-ამ დევის ნაშიერმა როგორ უნდა დაიკავოს ჩემი მზექაბუკის ადგილი, მის ნაცვლად ეს უსახო და უფორმო როგორ მივიღო, სად არის ახლა ჩემი შვილიშვილი, ვის შავ მკლავებშია მომწყვდეული. რატომ აირჩია დევმა ის, სხვები რატომ არ წაიყვანა? დევი რის დევია, თუ ასე კარგად შეუძლია კარგის და ცუდის გარჩევა? ეს არ არის მარტო დევის ნამოქმედარი, უფრო ჭკვიანის ხელიც ურევია ამ საქმეში!

-რა თქმა უნდა, არ არის მარტო, კარგი მოკარნახე ჰყავს, ამიტომაც ყოველთვის კარგი აურჩევია, იცი შენ ამის შესახებ, რაღა შორს მიდიხარ, ლამაზ დალილასა და უძლიერესი ვაჟკაცის, შერგილის ნადააურაც საკმარისია მაგალითისთვის.

-შერგილი და დალილა ცოდვილიანები იყვნენ, მათ რაც დააშავეს იმის პასუხი მიიღეს, არავინ გაბედოს მეორეჯერ ჩემი ოჯახის მათთან არა თუ შედარება, ხსენებაც კი. როგორ დაუშვა ღმერთმა ჩვენზე ასეთი რისხვა, ეს არ გვეკუთვნოდა ... ყველამ ვიცით თითოეულის წარსული, შესაძლოა ყველა იყოს ღირსი ამ წყევლის, მაგრამ ჩემი ოჯახი არამც და არა...

- ეს არავინ იცის, რატომ მოხდა ასე, მაგრამ თუ გინდათ ველოდი არ დაიტანჯოს დევებისაგან, ამ არსებისკენ მოსაკლავად არ უნდა მიიწევდე. იცი, რაც უფრო კარგად მოვექცევით, მით უფრო დაცულად იქნება შენი შვილიშვილიც.

ამის თქმა და თეთრუვასის გულის წასვლა ერთი იყო.

-ჰაერი, ჰაერი შემოუშვით, წყალი, წყალი შემოგვაშველეთ-ყვიროდა ყველა ერთბაშად, ვიღაცამ ხალხის ნაწილი გაყარა, ვიღაცამ წყალი მოიტანა, ნახევარი თავსა და პირისახეზე გადაასხეს, ნაწილს კი ასმევდნენ, მაგრამ კრიჭაშეკრულს პირს ვერ უხსნიდნენ.

-ენას მოკიდეთ ხელი, ენას, თორემ დაიხრჩობა,- ყვიროდნენ. დანა მოარბენინეს და იმით სცადეს კრიჭა გაეხსნათ, როგორც იქნა მოახერხა რომელიღაცამ, რომელსაც თეთრუვასის რამდენიმე კბილის ნაკვალევი აღბეჭდოდა თითებზე.

ამ არეულობაში ჩემი ყურადღება ისევ გადავიტანე მარიამუულსა და იმ არსებაზე. მათი თვალები ერთიმეორეში იმზირებოდა იმგვარი სინაზითა და სიყვარულით, რომ ენით იმის აღწერა შეუძლებელია. ვიცოდი, რომ წესით შვილივით უნდა მოქცეოდა ნადააურას, მხოლოდ მაშინ მიიღებდა დედა დევიც ადამიანის ნაშიერს საკუთარივით. იქნებ იმ წამში დევის შვილს კი არ უმზერდა ასეთი სიყვარულით, არამედ მის მაგივრად ველოდი წარმოედგინა. როგორ შეიძლება რამდენიმე საათის განმავლობაში ასეთი არაამქვეყნიური კავშირი შემდგარიყო მათ შორის?

კი ბატონო, ვთქვათ, მარიამუულმა შეძლო როგორც კეთილშობილმა პიროვნებამ, უსათნოესმა დედამ ასეთი სიყვარულის გამოჩენა ამ უცხო, უფორმო არსებისადმი, თვითონ დევის ნაშიერმა როგორ შეიყვარა უცხო ამგვარად? რაც მე იქ აღმოვჩნდი, ამ არსებას თვალი არ მოუწყვეტია მარიამუულისთვის.

ბებია თეთრუვაი ცასა და მიწას ერთიანად ადანაშაულებდა და დასტიროდა შვილიშვილს, შვილმოკლულ დედასავით... დედა კი დუმდა... დარდი, სევდა, გლოვა მარიამუულის ანკარა თვალებს ამღვრევდა, მწუხარება და რაღაც ფიზიკური ტკივილი მის თეთრ, მაღალ ყელზე სხვა დროს შეუმჩნეველ სისხმარღვებს ააშკარავებდა და ათრთოლებდა, მაგრამ ეს ყველაფერი უხმოდ ხდებოდა. მისი დუმილი, უხმო გოდება ქალებისთვის

საშინლად გამაღიზიანებელი იყო, რასაც არც მაღავედნენ. ეცოდებოდათ ბებია თეთრუვანი, ნერვებს უშლიდათ დედის მდუმარება.

-ასეთი შვილის დამკარგავი დედა სრულ გონზე როგორ არის? რად არ იკლებს სოფელს კივილით, რატომ არ დარბის ტყე-ღრეში შვილის საძებნელად? რა უნდა სახლში? რას ელოლიავენ ამ საზიზღარ არსებას, გულის მაგივრად ქვა ხომ არ უდევს? ერთი ცრემლი როგორ ვერ გაიმეტა შვილისთვის? შეხედეთ, როგორ მშრალად ზის, ჭკუაზე როგორ არის? როგორ უყურებს ამ საზარელ არსებას, რომელმაც ასეთი უბედურება მოუტანა? ერთი სიტყვა მაინც დაატეოს დაკარგულ შვილს!- ჩურჩულებდნენ ყველა კუთხეში ქალები.

ძალაუნებურად თვალეხი დავხუჭე, ვცდილობდი გამეაზრებინა ეს ამბები, წარბებს შორის ძარღვები ამეწვა, თავი მეტკინა, თვალეხსა და ცხვირში ცრემლები მომაწვა. ისევ ძალაში რძე მიგუბდებოდა პირში, ველოდი მენატრებოდა... თვალწინ წარმომიდგა მარიამულის კალთაში მჯდარი, არაამქვეყნიური გარეგნობისა და სათნოების მქონე ბავშვი. ძალაუნებურად თვალეხი გავახილე და შევხედე მარიამულს, იმავე ხატების ნახვის იმედით და... დავინახე ხელები ხელებში. ამ არსებას თავის არაბუნებრივად დიდ მუშტებში სათუთად მოექცია მარიამულის თხელი მტევნები და ეფერებოდა უნაზესად, მისი თვალეხიდან გამომავალი საოცარი სხივი მარიამულის თვალეხში ენით უთქმელი გრძნობით იღვრებოდა, თანაც მტრედივით ღულუნებდა. თვალეხისა და ხელების საოცარი ერთობა, რაღაც მიღმიურ მისტიკას ქმნიდა. ხელები... ეს მრავლისმეტყველი ხელები ბავშვის და ამავე დროს არაბუნებრივად გრძელი, ჩამოქნილი, მოლაპარაკე თითები... ყველა სიტყვა უძლური იყო მათთან... ისინი ბევრად მეტს ამბობდნენ, ვიდრე მრავალი ბრძენისა და მჭევრმეტყველის სიტყვა ერთად აღებული. გამიკვირდა, როცა აღმოვაჩინე ჩემს თავში, რომ ველოდის მსგავსად შემეყვარდა ეს არსება... პირველი ნახვის ელდა სადღაც გაქრა და ახლა მკლავდა სურვილი მასთან სიახლოვისა და შეხების.

ამასობაში თეთრუვანი გონზე მოიყვანეს. მარიამულმა ხელები გაითავისუფლა, თითქოს არ უნდოდა ეს საოცარი სიახლოვე ვინმეს შეემჩნია, მისმა მზერამაც, სადღაც თვალეხის უკან, დაისის მზესავით გადაინაცვლა.

თეთრუვანი წამოაყენეს, კუთხეში დასვეს. ყველაფერი სტკიოდა, იკლავებოდა, გაყინული მზერა მიაპყრო „დევის შვილს“, რომელსაც ჩასძინებოდა, სიოსავით შეუმჩნევლად სუნთქავდა. ყველა და ყველაფერი გაირინდა, პირველყოფილი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს არაფერი მომხდარა, წუთით მშვიდობამ დაისადგურა სახლსა და ყველა იქ მყოფში, მაგრამ ეს სიმშვიდე იმდენად ეუცხოვრებოდა, რომ ვერ გაუძლეს, ისევ აყაყანდნენ, დაიწყეს იმის გამოკითხვა, რაც უკვე ყველამ იცოდა.

-თქვე კაი ხალხო, გაგვარკვიეთ, როგორ გაქრა მთელი სოფლის თვალი ისე, რომ ვერავინ გაიგო?

-შუაგულ სოფლიდან ისე როგორ გაიყვანა დევმა ბავშვი, რომ თვალის არავის მოუკრავს. იქნებ დევების შიშით ვერ ვხედავთ თქმას.

-იმ დევს შემოსვლაც ხომ უნდოდა სოფელში, როგორ შემოიპარა, მთლად უხორცო და უჩინარი ხომ არ არის? ან ამხელა სხეული ისე როგორ შემოიყვანა სახლში, რომ ვერავინ შეამჩნია?

-როცა უნდათ სწორედ უჩინარი არიან. ასეთი ჩანაცვლება ბევრჯერ მომხდარა, მაგრამ დევებისთვის თვალი ვერავის მოუკრავს.

უცებ თეთრუვაი წამოიწია და დაიწყო მოყოლა:

-დილაადრიან ავდექი ძროხების ჩამოსაწველად. როგორც ყოველთვის, სანამ სახლიდან გავიდოდი, მინდოდა ველოდისთვის დამეხედა. მისი ერთი დანახვა ახალი ძალითა და სიხარულით მავსებდა. მარიამულის საწოლის გვერდზე მდგარ აკვანთან ფეხაკრეფით მივიპარე, რომ არ გაეღვიძათ, სიბნელეში აკვანში შევაცურე ხელი, მკერდზე დავადე, მისი გულისცემა მინდოდა მეგრძნო. უცებ შევკრთი, რადგან არაბუნებრივად დიდი სხეული შემრჩა, მაშინვე გადავხადე გადასაფარებელი, რომ სახე დამენახა, მაგრამ ისეთი პატარა თავი ჰქონდა, ძლივს გავარჩიე. მოულოდნელობისაგან არაადამიანური კვიცილი აღმომხდა, რამაც მთელი სოფელი შეგყარათ აქ. ახლა ყველა მომსწრე ხართ, ხელიხელ საგოგმანები ველოდის ნაცვლად მის აკვანში ეს არსება წევს. ხალხო, მიშველეთ, რა ვქნა, რა ვიღონო...

თეთრუვაი მუხლებზე ხელებს ირტყამდა, სახეს იკაწრავდა, მოთქვამდა, გოდებდა საცოდავად დასტიროდა შვილიშვილს:

- როგორ გელოდი, მთელი სოფლის ნუგეშო, ხელიხელ საგოგმანებო, მიწაზე ფეხს არ გადგმევინებდით, ახლა ვინ იცის სად წევხარ...ამ სოფლის გულბოროტი ადამიანებიც კი რბილდებოდნენ შენი ერთი შეხებით. შენს ღიმილსა და სიკეთეს სარკესავით ირეკლავდნენ, შენს ერთ შეხედვაზეც კი გული უთბებოდათ, ახლა სადა ხარ, ჩემო იმედო, შავი მიწა გახდა შენი აკვანი. ბოროტი თვალი გეცა, ჩემო თვალის სინათლე, აღარ მჭირდება თვალელები, უშენოდ მაინც დაბრმავებულია. ახლა დევები ტკბებიან შენი ცქერით. მზე ჩაქრა ჩემთვის, დედამიწამ ფერი დაკარგა, აღარასოდეს გამწვანდება ჩემთვის ბალახი, ხეები და ყვავილები მხოლოდ სიკვდილის მოსართავად გაიშლებიან, შავია ჩემთვის დღეც და ღამეც, მოსიარულე მიწა ვარ მხოლოდ, სამარის მიწა, უნაყოფო და არაფრის მომცემი... ამ ნადაურას მაინც არ ხედავდეს ჩემი მიწადასაყრელი თვალელები...

ყველა ქალი მოთქმით ატირდა. მარიამულის კი ისევე მშრალად იჯდა. ქალების გოდებამ ისე წამოახტუნა ნადევარა, რომ არტახები გაწყვიტა. მარიამულმა თავისი თეთრი მკლავები შემოხვია, რომ აკვნიდან არ გადავარდნილიყო. მისი შეხება საკმარისი გახდა, რომ იმ წამსვე დამშვიდებულიყო. თეთრუვაი დაიძაბა, ზიზღით სავსე თვალელები მიაპყრო „დევის შვილს“,

გაუსხლტა ქალებს და გაიწია მისკენ. არ მიუშვეს აკვანთან... ეტყობოდა ავი ზრახვა მის თვალებს...

ჯანყვათის ხმამ თითქოს ერთ ადგილზე გააშეშა ყველა იქ მყოფი. საკუთარ თავში დარწმუნებული, ხალხზე ზემოქმედების უნარით გამორჩეული, მრავალი გადამტყვევებული გვარის მომრიგებელი რატომღაც ერთხანს მდუმარედ იყო, მაგრამ თავისი დის ზღვარგადასულმა საქციელმა აიძულა ხმა ამოეღო:

-ქალო, თუ ველოდი გიყვარს, ამ არსებას არაფერი დაუშავო, ორმაგად გააწვალე ბედები ბავშვს. სხვა გამოსავალი არ არის, შევიყვაროთ ეს არსება, მოვეფეროთ. გაგვიჭირდება, მაგრამ ახლა ასე გვმართებს. დევებს უნდა გავეჯიბროთ გონიერებაში, მათ მოიგონეს ეს ხერხი, რომ შემოგვირიონ თავიანთი მოდგმა. ისინი თავიანთ შვილებს გვიცვლიან, არ იქნება მათთვისაც ეს ადვილი საქმე, მაგრამ რატომღაც ეს უნდათ, სჭირდებათ და აკეთებენ.

ჯანყვათს სხვა კაცებმაც აუბეს მხარი:

-იმედი არ დაგვარგოთ, მოგუფრთხილდეთ ამ ნადევარას, იქნებ დაგვიბრუნდეს ჩვენი ველოდი, გაზრდილი, დაკაცებული, შეიძლება ისეთი შეცვლილი იყოს ვერც ვიცნოთ, მაგრამ იცოდეთ დაგვიბრუნდება, ოღონდ შევინახოთ ის სიყვარული, რაც იმ პატარა ბავშვმა გვასწავლა.

ველოდის მისტიროდა მთელი სოფელი... გუშინამდე დედები საკუთარ ჩვილებს ძირს სვამდნენ, ოღონდაც ის აყვანათ ხელში. ბავშვებს თამაში ავიწყებოდათ, როგორც კი მოჰკრავდნენ თვალს. მის ირგვლივ ტრიალებდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, რას არ ცდილობდნენ, რომ ველოდის ყურადღება მიეპყროთ.

ამ ამბის შემდეგ სოფელი ორად გაიყო. თეთრუვაის და მის გულშემატკივრებს უნდოდათ მოეკლათ „ნადააურა“, რასაც მათი რწმენით მოჰყვებოდა დედა დევის შურისძიება. ისინი იმეტებდნენ ველოდის, რადგან ეგონათ ამით ბოლო მოეღებოდა დევების გეგმების განხორციელებას სოფელში. მეორე ნაწილი კი იცავდა ნადააურას და სჯეროდათ, ადრე თუ გვიან სოფელს დაუბრუნდებოდა ველოდი.